# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბევრის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 5 თებერვალი, 2015 წელი.

№22 (7667)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ფურთხის ღირსიც არა ხარ, „რუსთავი-2“-ო!

ირმა ინაშვილი



4

ადეიშვილზე წითელი ცირკულარით გამოცხადებულია ძებნა ინტერპოლის მიერ. ჩვენ ყველა სახელმწიფოს, სადაც კი გავიგებთ, რომ ეს პიროვნება იმყოფება, მივმართავთ, რათა მათზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულონ, ზურაბ ადეიშვილი სასწრაფოდ



დააკავონ და გადმოგვცენ. ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველა ქვეყანასთან, მათ შორის, უკრაინასთან. მას უკვე მივმართეთ შესაბამისი მოთხოვნით და ამ საკითხზე სერიოზულად ვმუშაობთ.

გიორგი გოგაძე, მთავარი პროკურორის მოადგილე

## რითი ამაყობენ მკვლელობაში ბრალდებული საეცრაზმელები?

ზურა ვაზაგაშვილის საქმის დეტალები

4



## ხილულზე უფრო საშიში უხილავი ავტორიტეტია, რომელიც სხვა კანონებით განაგებს დაწესებულებას

7

## კატასტროფა, რაც საფრთხეს შეუქმნის ქართველი ერის არსებობას!




3

ლეოპოლდის სინდრომი საქართველოში და ბიძინა ივანიშვილის კრიტიკული დილემა!

## დღის მთავარი აზრები ფეისბუქიდან

- ვანო მერაბიშვილი „კამერაშიც“ თავისი პრინციპების ერთგული რჩება და როდესაც სევდა შემოაწვება, ბიძინა კვერნაძის „კრიმინალური მენტალიტეტის“ მქონე სიმღერის „გალიაში ბულბულები ზიან“ ნაცვლად, ღიღინებს ხოლმე მანანა თოდაძის სიმღერას „ფარშევანგი გალიაში“...
- ინგა სეხნიაშვილი (ცააძის ადვოკატი): ცააძეს სასაცილოდ არ ეყო მის მიმართ წარდგენილი ბრალდება...
- ინგა, გოგო, მერე ვერ შეუღიტინე? ან ნეკა თითი გეჩვენებინა... ისე სასაცილოდ კი აქვს საქმე. წარმომიდგენია, რამდენს იცინებს, განაჩენს რომ წაუკითხავენ...
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა/United National Movement – თქვენს ჩაცმულობაზე ზრუნავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.
- მოკლედ, დიდი ღლიცინი აქვთ გამართული ნაციონალებს – პატიმარი გაექცათო... ვინ გაგექცეოდათ – ფეხზე ვერ იდგნენ ცემით.

## ჯარიმა თბილისის იერსახის დამახინჯებისთვის

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებისთვის დარღვევის აღრიცხვის შემთხვევაში, მოქალაქეს ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრება.

თბილისის მერიის ინფორმაციით, შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება, ასევე, პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი გამეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ამავე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ჩაიდენს იგივე ქმედებას, 1000 ლარის, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 2000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება. ამავდროულად, დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

დასჯადია ასევე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე. ამ ტერიტორიების დამახინჯების შემთხვევაში, მოქალაქე 500 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ინფორმაცია

## პრემიერ-მინისტრი გუბერნატორებს შეხვდა

**მთავრობის** ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მათ რეგიონებში მიმდინარე ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს.

მხარის რწმუნებულებმა მთავრობის მეთაურს რეგიონებში არსებული ვითარების შესახებაც მიაწოდეს ინფორმაცია და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

„გუბერნატორებმა პრემიერ-მინისტრისგან მიიღეს კონკრეტული დავალებები, რათა რეგიონებში მაქსიმალურად ხელი შეეწყოს წარმოების განვითარებას და მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემები მოკლე ვადებში გადაიჭრას“, — ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციაში.

## გუშინ პარლამენტის საგაზაფხულო სესია გაიხსნა



**პარლამენტის** საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა სახელწიფო ჰიმნით გაიხსნა.

პირველ სხდომას პარლამენტის 93 წევრი დაესწრო.

დეპუტატებმა სხდომის დაწყებისას წუთიერი დუმილით კოლეგის თამაზ ავდალიანის ხსოვნას პატივი მიაგეს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, მათ სასურველი მეგობარი გამოაკლდათ.

დეპუტატებმა განსახილველ საკითხთა დღის წესრიგი დაამტკიცეს, თუმცა, კანონპროექტების განხილვის დაწყებამდე, პარლამენტში პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა, რასაც სერიოზული კამათი და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

## ხომ არ არსებობს მართლმსაჯულების სისტემაში კორუფციის აღორძინების რისკი

**როგორც** კი მართლმსაჯულების ხელმძღვანელი შეიცვლება, ჩვენ დაგვჭირდება, მკაცრად ჩავიხედოთ ამ სფეროში, — ამის შესახებ ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.



მისივე განმარტებით, უნდა შევისწავლოთ, ხომ არ არსებობს მართლმსაჯულების სისტემაში „კორუფციის აღორძინების“ რისკი.

როგორც თეა წულუკიანმა განაცხადა, მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით კითხვები იმიტომ კი არ აქვს, რომ „კითხვებს საფუძველი აქვს, არამედ იმიტომ, რომ სტრუქტურა არის ბოლომდე დახურული“.

აფხაზეთის კრიზისის გასაღები?

# სოხუმი ევროკავშირის დახმარებაზე უარს არ ამბობს

**ევროკავშირი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას დახმარებას სთავაზობს და კიდევ ერთხელ განუმარტავს, რომ მას არ აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. სოხუმიც მზად არის, განიხილოს და შესაძლოა, მიიღოს კიდეც კონკრეტული წინადადებები, თუმცა, უკმაყოფილო რჩება არაღიარების საკითხით.**

ეს მიდგომები კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰერბერტ ზალბერის სოხუმში ვიზიტის დროს. რა მხრივ იქნება სასარგებლო ევროკავშირის თანამშრომლობა ოკუპირებულ აფხაზეთთან?

თუკი იქნება კონკრეტული წინადადებები ევროპული ქვეყნების ან სხვა პოტენციური პარტნიორების მხრიდან, ჩვენ ამ წინადადებებს აუცილებლად განვიხილავთ. ამჟამად აფხაზეთი საჭიროებს სერიოზულ ინვესტიციებს ეკონომიკის ბევრ სფეროში...

— გვინდა, რომ დასავლეთმა გვაღიაროს როგორც სახელმწიფო, — თქვა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ორშაბათს, როცა ის სოხუმში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელსა და მის თანმხლებ პირებს მასპინძლობდა. რაულ ხაჯიმბასთვის მიუღებელია, როცა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას ბრიუსელი თბილისის ინტერესების ჭრილში ელაპარაკება და რომ მუდმივად იგულისხმება და იგრძნობა საქართველოს ინტერესების მხარდაჭერა. დასავლეთი კი არაღიარების პოლიტიკის ერთგულებას განაგრძობს და ამის პირდაპირ თქმისთვის თავი არც ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს აურიდებია. აღიარებას არა, მაგრამ, როგორც ჰერბერტ ზალბერმა აღნიშნა ადგილობრივ მედიასთან საუბრისას, სამაგიეროდ, აფხაზებს ევროკავშირი თანამშრომლობას სთავაზობს და, კერძოდ, იმ მოდელის გაფართოებას, რაც უკვე მუშაობს გალის რაიონის შემთხვევაში:

— ევროკავშირი არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას... თუმცა, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის. გალის რაიონში ევროკავშირი ახორციელებს რამდენიმე პროექტს, ძირითადად ეკონომიკის სფეროში და ჩვენ ვაპირებთ განვავითაროთ ეს პროცესი. საუბარია მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებაზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ასევე საუბარია თანამშრომლობაზე განათლების სფეროში — განსაკუთრებით უცხო ენების შესწავლის თვალსაზრისით. არის შეთავაზება, რომ პერიოდულად ადგილობრივ უნივერსიტეტში ჩამოვიდნენ უცხოელი




პროფესორები, ლექტორები — ევროკავშირის უნივერსიტეტებიდან.

ევროკავშირის შეთავაზებამ რომ ინტერესი გამოიწვია და სოხუმში მას კონკრეტული წინადადებების სახით განიხილავენ, ეს ადგილობრივ მედიას დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ირაკლი ხინთბამაც დაუდასტურა. დაინტერესება საჭიროებით აიხსნება:

— თუკი იქნება კონკრეტული წინადადებები ევროპული ქვეყნების ან სხვა პოტენციური პარტნიორების მხრიდან, ჩვენ ამ წინადადებებს აუცილებლად განვიხილავთ. ამჟამად აფხაზეთი საჭიროებს სერიოზულ ინვესტიციებს ეკონომიკის ბევრ სფეროში. ამიტომ ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ ნებისმიერ წინადადებას, ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო „აფსნიპრესის“ ცნობით, ამ საკითხებში ჰერბერტ ზალბერი დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ ჩირიკბასაც ელაპარაკა და შეხვედრის დასრულების შემდეგ გამოთქვა იმედი, რომ მისი მისიის საქმიანობა გალის რაიონის საზღვრებს გასცდება.

თუმცა, აქვე იბადება შეკითხვა: რამდენად მოეწონება ეს მოსკოვს?

რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამ საკითხს სწორედ რუსეთისგან მოსალოდნელი წინააღმდეგობების კონტექსტში განიხილავს პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე. სხვა მხრივ კი, ანალიტიკოსი თვლის, რომ დახმარება სასარგებლო იქნება და განსაკუთრებით — განათლების სფეროში:

— არ ვიცი, ეს რამდენად გამოვა და იმუშავებს — რამდენად დაუშვებს მოსკოვი იმას, რომ თუნდაც განათლება მიიღონ აფხაზებმა და გამოვიდნენ საინფორმაციო ვაკუუმიდან და გამოვიდნენ რუსული საინფორმაციო საშუალებების კონტროლიდან... ჩემი აზრით, ჩვენ უნდა გვაწყობდეს გაცივილურება და განათლება აფხაზი ხალხისა, რადგანაც ისინი არიან ვაკუუმში და სწორედ აქედან მოდის ბევრი ის პრობლემა, რაც არის ჩვენსა და მათ შორის.

თუკი „აფსნიპრესის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესში რუსეთის წინააღმდეგობის არ ეშინია დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბას. მან თქვა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა რუსეთისგან სასიცოცხლოდ აუცილებელ ფინანსურ დახმარებას იღებს და მადლობელიც არის ამისთვის, თუმცა, ეს პროცესი ხელს ვერ შეუშლის დახმარების მიღებას ევროკავშირისგან.

**— თუკი დასავლეთი მზად არის წვლილი შეიტანოს აფხაზეთის ეკონომიკური ზრდის პროცესში, ჩვენ განვიხილავთ ამ თემებს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — განუცხადა რაულ ხაჯიმბამ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს.**

**ლელა კუნჭულია,**
**რადიო „თავისუფლება“**

პროტესტი

# არასამთავრობოთა ნაწილი საიას, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ და „სამართლიანი არჩევნების“ საქმიანობის გამოძიებას მოითხოვს

**ალნიშნულთან დაკავშირებით „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენელმა ნინო ბუჩუკურმა და „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ზვიად ტომარაძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართეს და აღნიშნეს, რომ განცხადებას 35 არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით აკეთებენ.**

ნინო ბუჩუკურის თქმით, საიას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა -— საქართველოსა“ და „სამართლიან არჩევნებთან“ დაკავშირებით ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილისა და გოგა ხაინდრავას განცხადებებმა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილში საკმაოდ დიდი შეშფოთება გამოიწვია, რაც გაუგებარია.

„ისინი გამოდიან და დიდ შეშფოთებას გამოხატავენ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ინტერესდება საზოგადოება მათი საქმიანობით. ნაციონალური მოძრაობის ფრთებქვეშ გამოზრდილი ორგანიზაციები, რომლებიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში კარგად ფინანსდებოდნენ და იკვებებოდნენ დასავლეთიდან შემოსული თანხებით, ახალ სამოქალაქო სექტორში ისე კარგად ველარ გრძნობენ თავს და სწორედ ამის გამო არიან გაღიზიანებულები“, — განაცხადა ბუჩუკურმა.

მისივე თქმით, საიას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოსა“ და „სამართლიანი არჩევნების“ საქმიანობასთან დაკავშირებით შეკითხვები ჩნდება.

**„დაინტერესებული ვარ გავერკვე, თუ რას ემსახურებიან და რაში იხარჯება გამოყოფილი თანხები, რომელიც რეალურად ჩემი ქვეყნის ინტერესს უნდა ხმარდებოდეს. შვედეთში დაიწყო სერიოზული მოკვლევა, სადაც აქტიურად იკვეთება ნინო ლომჯარიას კვალი გრანტებისა და სხვადასხვა თანხის კორუფციულ ბრუნვასთან დაკავშირებით, ამის გამო ქალბატონი ლომჯარია საკმაოდ შეწუხებულია და აღარ იცის, თუ როგორ დაიცვას საკუთარი პოზიცია“,** — განაცხადა ბუჩუკურმა.

მისივე თქმით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური ვანო მერაბიშვილის უწყებაში მუშაობდა და მას „მერაბიშვილის კარის პოლიციელს“ უწოდებდნენ.

**„სწორედ გიგაური იყო, ვინც კაპიტნის წოდება დაჩქარებული წესით მიიღო. როდესაც 7 ნოემბერს საკუთარი პოზიციის თავისუფლად დასაფიქსირებლად გამოსული ხალხი ჩაქოლეს, დაარბიეს და სისხლიც კი დაიღვარა, სწორედ ქალბატონი გიგაური იყო უფლებამოსილი, მათთვის პრემიები გაეცა“,** — განაცხადა ბუჩუკურმა.

ბუჩუკურის განცხადებით, 35 არასამთავრობო ორგანიზაცია მოუწოდებს პროკურატურასა და შესაბამის სამართალდამცველ ორგანოებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს საქმე და გამოძიების პროცესი ბოლომდე იქნას მიყვანილი.

**„როგორც ჩემი ქვეყნის რიგითი მოქალაქე ვითხოვ და მოვითხოვ, რომ თითოეული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. ვაპირებთ, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. თუ პროკურატურა ამ ყველაფრის თაოსანი არ იქნება და ბოლომდე არ მიიყვანს, „თავისუფალი თაობა“ მეგობარ და კოლეგა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, იკისრებს ინიციატივას, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში აღდგეს კანონმორჩილება და სამართლიანობა“,** — განაცხადა ბუჩუკურმა და აღნიშნა, რომ განცხადებას 35 არასამთავორო ორგანიზაცია უერთდება, მათ შორის, „თავისუფალი თაობა“, „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „უმუშევართა კავშირი“, მოძრაობა „მამული, ენა, სარწმუნოება“, „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტი“, „ვემსახურები საქართველოს“, „საქართველოს ადვოკატთა კოლეგია“, საზოგადოება „ლაზარე“, „სულიერი და ზნეობრივი საქართველო“.

ინფორმაცია

## „საქართველოს ბიზნესასოციაციას“ ახალი აღმასრულებელი დირექტორი ჰყავს



„საქართველოს ბიზნესასოციაციის“ აღმასრულებელ გუნდს ირაკლი ასლანიშვილი უხელმძღვანელებს. ასოციაციის ინფორმაციით, ირაკლი ასლანიშვილს კერძო სექტორში წარმატებული საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. კერძოდ, ეკავა გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“, იყო უძრავი ქონების კომპანია „ტიფლის სიტის“ აღმასრულებელი დირექტორი, გახლდათ „ბანკი რესპუბლიკა — სოსიეტე ჟენერალეს“ კომერციული დირექტორი.

# „იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა, თორემ?!.“



**2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობამ შეიტანა კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (http://www.parliament.ge/ge/law/7964/16269), რომლის ავტორები, განმარტებითი ბარათის მიხედვით არიან საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.**

**იქვე განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ კანონპროექტი „შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 ოქტომბრის №253 დადგენილებით შექმნილი საქართველოში მიწის მართვის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში“.**

**შედეგად მივიღეთ ის, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოში მიწის მართვის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფის გაუმჯობესებისთვის შექმნილ საბჭოს ერთი წლის განმავლობაში ფუნდამენტური რაიმე შედეგი არ დაუდვია მიწასთან დაკავშირებით. მთელი შედეგი ყავლგასული და მოვლენების განვითარებას ჩამორჩენილ კანონში შესატანი ცვლილებებია, ისიც ერთადერთი მიზნით: როგორ გაიყიდოს ქართველების წილი მიწა უცხოელებზე. კანონპროექტი მიწების რეგისტრაციის, აღრიცხვის, კადასტრის და უამრავი სხვა საკითხის მოსაგვარებლად კი არა, მიწების უცხოელებზე გაყიდვის საკითხის გადასაწყვეტადაა შემუშავებული. მიწის საკითხის კომპლექსური სამართლებრივი მოწესრიგება მიწის კოდექსის სახით, ხომ განუხორციელებელი ოცნება იყო წარსულ ხელისუფალთა ხელში და, ეტყობა, ასეთად რჩება „ოცნების“ ხელისუფლების დროსაც!**

**ლოგიკურად ისმება კითხვა: საერთოდ უნდა იყიდებოდეს თუ არა მიწა? აქ პრინციპულად უნდა ითქვას — დიახ. მაგრამ ის, თუ როგორ უნდა იყიდებოდეს, როგორი უნდა იყოს მიწის ბაზარი ქვეყანაში, დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, დემოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და იმ მდგომარეობაზე, რაც ქვეყანაშია: არის ომიანობა, თუ მშვიდობიანობა, რეფორმის, თუ ტრადიციული მეურნეობრიობის ეტაპი, სტაბილურობაა, თუ კრიზისი და ა. შ.**

დღევანდელ საქართველოში მიწის უცხოელებზე ფლობის საკითხია მოსაგვარებელი, რადგანაც ბევრი შერეული ოჯახია და მათ პრობლემები არ შეექმნათ ამის გამო. მოსაგვარებელია მემკვდრეობისა და სხვა საოჯახო საკითხები. ამ შეზღუდულ ფარგლებში დასაშვები უნდა იყოს უცხოელ ფიზიკურ პირებზე მიწის ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობებში ჩართვა. შეზღუდვებით შესაძლებელია ეს შეეხოთ იმ ფიზიკურ პირებსაც, რომლებიც ინოვაციური ტექნოლოგიებითა და თანამედროვე მეურნეობის მოსაწყობად განახორციელებს ინვესტიციებს და არა იმ შემთხვევისთვის, როდესაც მიწის ფასის გამო ჩნდება ინტერესი პირადი მოთხოვნებისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით („მკვდარი მკვდარს აეკიდას“ შემთხვევა).

ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით წარმოდგენილი კანოპროექტის პოზიცია მისაღებია. თუმცა, შეზღუდვები ფიზიკური პირების მიმართ უნდა დაწესდეს არა მარტო უცხოელებზე, არამედ საქართველოს მოქალაქეებზეც. ის, რაც უფასოდ მიიღო კომლმა სახელმწიფოსგან, თუ ოჯახი არ იქცა ნასახლარად, არ უნდა იყოს ყიდვა-გაყიდვის საგანი, რათა თავიდან ავიცილოთ უმიწო გლეხების წარმოქმნის დაწყებული პროცესის მასობრივ მოვლენად გადაქცევა! ეს ნაკვეთები ყველაზე დიდი დაზღვევაა გადასარჩენად უკიდურესი სიღატაკეში ჩავარდნის შემთხვევაში ოჯახებისათვის, რისი რისკიც ჯერ კიდევ არსებობს!

კანონპროექტის მიხედვით ( file:///C:/Users/User/Downloads/file-22012015%20(20).pdf მუხლი 1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ: **„სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს“**.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს **„სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს“** — ეს ჩანაწერი უნდა დაზუსტდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სამეურნეო ფუნქციები, აქვს შემთხვევები კრედიტებთან, მასში არის ვალაუვალობისა და კომერციულ საწყისებზე ტრანსფორმაციის შესაძლებლობები — ამიტომ, მათ შეიძლება უზუფრუქტით გადაეცეთ მიწები მისი დამფუძნებლების მიერ, ამდენად, აქ საკმარისია სახელმწიფოსა და თვითმმართველობის მითითება).

მოქალაქე და კომლი მისაღებია, თუმცა, ეს კიდევ არ არის საკითხის გადაწყვეტა. კვლავ განუსაზღვრელი რჩება, ვინ არის „გლეხი“, „ფერმერი“ და ა.შ. დღევანდელ სოფელში თვით „სოფლის“ ნორმატიული განმარტების არარსებობის პირობებში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს **„საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს“,** ე.ი. საქართველოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს. ასეთი პირი საქართველოში ათეულ ათასობითაა. ყურადღებას მივაქცევ, რომ საუბარია სასოფლო-სამეურნეო მიწაზე! ჩემი აზრით, იურიდიულ პირს, თუ ის არ არის სასოფლო-სამეურნეო პროფილის, საქართველოს მოქალაქეების მიერ იქნება დაფუძნებული, უცხოელების მიერ, თუ კიდევ სხვათა მიერ (რომ გაიგებენ საქართველოს ხელისუფლების ამ საქმეებს ისეთებიც გამოჩნდება ჯერ რომ არ გაგვიგია),არ უნდა მიეცეს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლება.

კანონპროექტი გვთავაზობს: „უცხოელი მოქალაქის, ასევე უცხოელი მოქალაქის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებული იურიდიული პირის შესაძენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი, არ უნდა იყოს 20 ჰექტარზე ნაკლები, ხოლო ჯამში შემძენის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან ნაკვეთების ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 200 ჰექტარს“.

## კატასტროფა, რაც საფრთხეს შეუქმნის ქართველი ერის არსებობას!

### ლეოპოლდის სინდრომი საქართველოში და ბიძინა ივანიშვილის კრიტიკული დილემა!




არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო პროფილზე. **რომელიღაც სავაჭრო, ან სამშენებლო კომპანია, ან სულაც რომელიღაც სექტა რომ მიადგეს და შეისყიდოს სასოფლო-სამეურნეო მიწები? რატომ ვუშვებთ ამას? რატომ არ წერია ეს ახსნა-განმარტებით ბარათში?** უცხოელს ექნება საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებისა და მესაკუთრეობის უფლება, მაგრამ თუ მას სურს, ისეთი მასშტაბები მისცეს თავის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას საქართველოში, რომ ეს იქნება მისი ცხოვრების საქმე, მაშინ მას უნდა ჰქონდეს სტიმული, გახდეს საქართველოს მოქალაქე და სასოფლო-სამეურნეო პროფილის იურიდიული პირის შექმნით მიიღოს ყველა არსებული უფლება (საქართველოს მოქალაქეობას საქართველოში ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც ფასი?!).

კანონპროექტით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება ენიჭებათ **„საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს“**.

**კანონმდებელი არ ირჯება იმის განმარტებით, თუ ვის გულისხმობს ამ ცნებაში.** უშვებს, რომ ვისაც დასჭირდება ის გაიგებს ან საკუთარი ცოდნით, ან კიდევ ვინმეს ჰკითხავს. ერთს არ ითვალისწინებს — ამ რჩევისთვის ხელისუფალი დაიქირავა ქართველმა ხალხმა და საორხელოდ არ უნდა ჰქონდეს მას საქმე. ენციკლოპედიურ დონეზე ცნობილია „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები“, თუმცა ისიც ცნობილია, რომ მოცემული კანონის მიზნებისთვის შეიძლება იყოს სხვა განსაზღვრება და ამიტომ აუცილებელია კანონში განმარტების არსებობა. ეს ინსტიტუტებია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund, IMF), მსოფლიო ბანკის ჯგუფი (World Bank Group), მათ შორის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი International Bank for Reconstruction and Development), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია +International Development Association, IDA), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია +international Finance Corporation, IFC), ინვესტიციების გარანტირების მრავალმხრივი სააგენტო (Multilateral Investment Guarantee Agency, MIGA), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, World Trade Organization (WTO). ასეთი ჩანაწერის შემდეგ ძალიან ძნელია კრიტიკა. ერთი კითხვა უნდა დავსვათ: **რომელი ქვეყნის კანონში წერია მსგავსი რამ, იქნებ ავტორებმა და საქართველოს მთავრობამ მიგვითითონ, როგორ მივიდნენ ამ აზრამდე? ამ ჩანაწერის დაკანონებით რა ელოდებათ? რა მიზნის შესრულებას ისახავენ მიზნად?**

კანონპროექტით შემოთავაზებულია, რომ ზემოაღნიშნული შეზღუდვა მიწის ფართობებთან დაკავშირებით „არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე“. ამ იურიდიულ პირებს შეუძლიათ, შეუზღუდავი რაოდენობით ფლობდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს საქართველოში. აქ ერთადერთი შეზღუდვა ისაა, რომ მიწა შესასყიდად გამოილიოს, მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწა მათ გარდა, აღარ დარჩეს საქართველოში. ამით კომერციული ბანკებსა და მიკროსაკრედიტო ორგანიზაციებს კანონპროექტის ავტორებმა უბრალო იურიდიული პირების პრივილეგიები არ ამყოფინეს და ის კიდევ უფრო გაუზარდეს.

საქართველოს მთავრობა და საქართველოს ეროვნული ბანკი კოორდინირებულად რომ არ მოქმედებენ აქაც ჩანს (ან მოქმედებენ და ასეთ რამეს აკეთებენ — ყველაფერი შეიძლება დაუშვა ამ კანონპროექტის ავტორებისგან). **მაშინ როდესაც, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აუკრძალა (სამომავლოდ, სადაც ვირისა და პატრონის ბედი კიდევ უცნობია, როგორ იქნება) კომერციულ ბანკებს არაპროფილური საქმიანობა, მთავრობა უბიძგებს კომერციულ ბანკებს მიწათმფლობელობისკენ(?!)**. თუმცა, ეს ამბავი არახალია.

უცხოელებზე მიწის ყიდვა-გაყიდვის აჟიოტაჟმა გადაფარა, თორემ 2013 წლის 28 ივნისის ცვლილებით უცხოელთა მიმართ 2014 წლის 31 დეკემბრამდე მიწის მიყიდვის ნორმის მოქმედების შეჩერების გვერდით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება დაშვებულ იქნა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომერციული ბანკებისთვის, ასევე განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. ამ ნორმის მოქმედების დროს რაც მოხდა საქართველოში, ჯერ კიდევ შესასწავლი საკითხია. ფინანსურ დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ მიცემული დრო გირაოში არსებული მიწების ვალის სანაცვლოდ გასაყიდად, თორემ, უპირობოდ ფლობის უფლება ბანკებისთვის იგივეს გამოიწვევს მიწებთან დაკავშირებით, რაც დღეს ბინებთან დაკავშირებით გვაქვს: **ბანკებთან დავალიანების გამო უბინაოდ დარჩენილებს დაემატება უმიწოდ დარჩენილებიც.**

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემა სასოფლო-სამეურნეო პროფილის იურიდიული პირების გარდა სხვა იურიდიულ პირებზე ეს იქნება უცხოელების მონაწილეობით, თუ მათ გარეშე, განსაკუთრებით კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისათვის — არის კატასტროფა, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები, საფრთხე ექმნება ქართველი ერის არსებობას!

გადაჭარბებული შეფასებაა?

ამაში გასარკვევად მოვიტან რამდენიმე მაგალითს როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიიდან.

**მაგალითი პირველი**. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი თავადაზნაურობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ბანკებში დააგირავა თავისი მამულები, მერე ვალები ვერ გადაიხადეს და უმიწოდ დარჩნენ. დაკარგეს რა დასაყრდენი, დაკარგეს საზოგადოებრივი ძალაც და თავიანთი სისუსტით დიდად შეუწყვეს ხელი იმას, რომ საქართველომ ვერ შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.იმის ნაცვლად, რომ თავიანთი გენეტიკით და ინტელექტით ილიას დადგომოდნენ გვერდით, მას დაუწყეს მტრობა და მთელი ენერგია „დაგირავებული მამულების გაუსყიდაობის“, როგორც „უმაღლესი ჰუმანიზმისთვის“ ბრძოლას შეალიეს. ამ მოვლენამ „ბანკობიადის“ სახელი მიიღო. შედეგად ქართველები საქართველოში უმიწოდ დარჩნენ. რასაც, როგორც ზემოთ ითქვა, სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მოჰყვა.

იხ. 6 გვ.

**სიახლე**

## რა ვუყოთ „საცობებს“?

**დიდი ხანია, რაც თბილისი გადაივსო ავტომობილებით. ყველა ძირითად გზაზე გაჩნდა ე. წ. „საცობები“, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, აფერხებს მოქალაქეთა გადაყვანას დანიშნულების ადგილამდე.**

**ამას წინათ შევიტყვე, რომ „საქპატენტში“ შეტანილია განაცხადი გამოგონებაზე ვანტბაგირგზა „ქარგამძლე“, რომელიც საშუალებას იძლევა, შეასრულოს საჰაერო ხომალდის ფუნქციები — გადაიყვანოს ხალხი საჰაერო ვაგონით თბილისის საკვანძო ადგილებამდე ნებისმიერ ამინდში.**

**წარმატება ვუსურვოთ ამ საქმის ხელის შემწყობებს.**

**სასურველია, ქალაქის მერიამ გაითვალისწინოს ეს სიახლე.**

**გურამ ჭავჭანიძე,**
(პოეტი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი).



# რითი ამაყობენ მკვლელობაში ბრალდებული სპეცრაზმელები?

**სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო, — ასეთი განცხადა გუშინ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესმა გააღვივა. ჭირისუფალი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მოსამართლემ მართებული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან სპეცოპერაციაში მონაწილე პირებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.**

## ზურა ვაზაგაშვილის საქმის დეტალები

დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი კი ასეთ კომენტარს აკეთებს: „სამართლიანობის აღდგენა, ეს არის პროცესი და ამ მიმართულებით სახელმწიფო დიდ ძალისხმევას გაიღებს. იმის მიუხედავად, რომ არაერთი კრიტიკა მოვისმინეთ საზოგადოების მხრიდან“.

ბედის ირონიით, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტს საგამოძიებო კომისიის შექმნას სთხოვს, რომელიც პროკურატურის პარარელურად წინა ხელისუფლების დროს მომხდარ მკვლელობებს გამოიძიებს. ბუნებრივია, უმრავლესობა ამ აზრს არ ეთანხმება! მეტიც, როგორც ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, როგორ შეიძლება უმცირესობის მოთხოვნებს დაეთანხმო, როცა ამ მკვლელობებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა სწორედ ნაციონალურ მოძრაობას ეკისრება. **„სიმბოლურია ნაციონალური მოძრაობის რეაქცია ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულის დაკავებასთან დაკავშირებით. ისინი პოლიტიკურ მოტივებზე აპელირებენ და ბრალდებულის ინტერესებს იცავენ, მათი პოზიციების გამყარებას ცდილობენ. ეს ერთგვარი აღიარებაა იმისა, რომ პოლიტიკურად სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი იმ მკვლელობებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ბოლო წლების განმავლობაში“,** — დასძინა მან.

როგორც იცით 2006 წლის 2 მაისის სპეცოპერაციის დროს ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის საქმეზე კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის ყოფილი მოადგილე ირაკლი ფირცხალავა და კიდევ ათი პირი დააკავეს: შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი ცააძე; კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი გამგებელი ლევან ბეროძე; თბილისის შს მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების ჯგუფის ყოფილი უფროსი კახაბერ ნაკანი და მისი ყოფილი მოადგილე გიორგი გულბანი; სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრები: იასონ მილაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ზურაბ ჯოხაძე, დავით ალელიშვილი, სოსო ჩაკვეტაია და ალექსანდრე სანიკიძე. შს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ გამომძიებელ გრიგოლ კვინიკაძეს, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება, ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს. სასამართლო პროცესზე, როცა მოსამართლე დაკავებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე მსჯელობდა, პროკურორმა მოწმეთა ნუსხაში სოდის ყოფილი ხელმძღვანელის ერეკლე კოდუას ყოფილი მოადგილე კახა მისირელიც დაასახელა. არ არის გამორიცხული, სწორედ მისირელის ჩვენება ედოს საფუძვლად გამოძიების იმ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ფირცხალავას ძმის შესახებ სოდ-ს ინფორმაცია სწორედ ხუბულოვმა მიაწოდა. მოწმეებს შორის არიან ყოფილი გამომძიებლები — ნუგზარ გვილავა და შალვა ნიქაბაძე.

მოკლული ბუტა რობაქიძის დედა უკმაყოფილოა იმით, რომ დაკავებულთა შორის არ არიან ისინი, ვისზეც იური ვაზაგაშვილს ინფორმაცია ჰქონდა. მისი თქმით **„ისინიც აუცილებლად უნდა იყვნენ დაბარებული და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ყველამ პასუხი აგოს“.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ხმაური და დაპირისპირება მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ხალხის სიმრავლის გამო, სხდომათა დარბაზში შესვლა ვერ მოახერხეს ვაზაგაშვილების ოჯახის წევრებმა, სოსო რობაქიძემ და უფლებადამცველებმა. სამაგიეროდ, მრავლად ესწრებოდნენ ნაციონალთა მეხოტბეები, ანუ „ზონდერბრიგადები“. ამიტომაც დილიდანვე ითხოვდა ირაკლი კაკაბაძე სხდომა უფრო დიდ დარბაზში გადაეტანათ, მაგრამ უშედეგოდ. სასამართლოს ფოიეში იგი შსს ანალიტიკური სამსახურის ყოფილ უფროსს შოთა უტიაშვილს დაუპირისპირდა და მას „ძაღლი“ უწოდა. **„ეს არის საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი. და მსურს, პროტესტი გამოვხატო მკვლელების მიმართ!“** — აცხადებდა ია მეტრეველი.

დაზარალებულთა ახლობლები რომ ვერას გახდნენ, საპროტესტო აქცია გამართეს ლოზუნგით — **„დამნაშავე უნდა დაისაჯოს“.** იმ შემთხვევაში, თუ გირაოთი ვინმე გამოვა, სასამართლოს უნდობლობას გამოვუცხადებთ, — ამბობდა სოსო რობაქიძე. იგი დროებით აქციას გაერიდა და „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში კონფერენცია ჩაატარა, სადაც რიგგარეშე არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე ისაუბრა. **„უნდა ჩატარდეს არჩევნები და ამ გზით საბოლოოდ უნდა ჩამოშორდნენ ნაციონალები. სხვაგვარად, ისინი კვლავ პარპოშებენ და შეტევაზე გადმოდიან, მკვლელებს იცავენ!“** — დასძინა მან.

ვაზაგაშვილის ჭირისუფლებმა კომენტარის გაკეთება არ ისურვეს გადაცემა „არჩევანში“ გახმიანებულ ინფორმაციაზე, როცა 2003 წელს დაღუპული გიორგი გაბუნიას მამა ლევან გაბუნიამ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ მისი შვილი და ბექა პაპუაშვილი ზურაბ ვაზაგაშვილმა მოკლა: **„2002 წელს ზურაბ ვაზაგაშვილმა თავის მეგობართან ერთად მოკლა ბექა პაპუაშვილი, რომლის თვითმხილველიც იყო ჩემი შვილი. თუმცა, წლისთავზე ისიც, როგორც მოწმე, მოიშორა. ვინაიდან 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, მთავრობა შეიცვალა და იმის შიში ჰქონდა, რომ ეს საქმე შეიძლება ხელახლა გამოეძიებინათ“,** — განაცხადა ლევან გაბუნიამ. მისი თქმით, ბექა პაპუაშვილის მკვლელობის ფაქტზე ზურაბ ვაზაგაშვილი იმ დღესვე დააკავეს, მაგრამ მაშინვე გაუშვეს, ვინაიდან იური ვაზაგაშვილმა ვაკე-საბურთალოს პროკურატურას 70 ათასი დოლარი გადაუხადა. ვაზაგაშვილის განთავისუფლებაში კი დიდი როლი ელენე თევდორაძის დახასიათებამ და შუამდგომლობამ შეასრულა. გაბუნიას ვარაუდით, თანხის ნაწილი ელენე თევდორაძესაც ერგო.

ამ ინფორმაციას აბსურდული უწოდა ელენე თევდორაძემ. **„ჩემს სიცოცხლეში რეკომენდაცია არავისზე დამიწერია. შეიძლება შუამდგომლობით მივმართე პროკურატურას, ეს არ მახსოვს, თუმცა, თუ მივმართავდი, მხოლოდ საქმის ობიექტურად გამოძიებისკენ მოვუწოდებდი. მითითების უფლება, როგორც რიგით დეპუტატს, არც მქონდა“,** — ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს თევდორაძე.

სოციალურ ქსელებში ვრცელდება ერთი წლის წინ მომზადებული სტატია, თუ რას აცხადებდა იური ვაზაგაშვილი ლევან გაბუნიას ბრალდებებთან დაკავშირებით.

„2003 წელს გარდაცვლილი გიორგი გაბუნიას მამას ზურაბ ვაზაგაშვილის მამა პასუხობს. იური ვაზაგაშვილის განცხადებით, ეს არ არის სერიოზული ბრალდება. „მე ვუთანაგრძნობ, ორივე ოჯახს, იმიტომ, რომ მე ვიცი, შვილის სიკვდილი როგორია და ვიცი, რა სიმწარეა.“ იური ვაზაგაშვილი ფაქტს 2002 წელს ზურაბ ვაზაგაშვილის და ბექა პაპუაშვილის დაპირისპირებას უკავშირებს, თვლის, რომ გაბუნიას ოჯახი შეცდომაშია შეყვანილი. ბექა პაპუაშვილმა 2002 წელს, კაფეში დაჭრა ჩემი შვილი ზურა. ზურა შეყვარებულთან ერთად იყო, ისინი სამნი ყოფილან, მიყენებული ჭრილობით ზურა საავადმყოფოში მოხვდა. ამოღებულია ისტორიაც და შეგიძლიათ ნახოთ. პაპუაშვილის მიერ დაჭრილი ზურა, ბუნებრივია, პოლიციამ დაკითხა მოწმის სტატუსით. იქიდან მოდის გაბუნიების ეჭვი, რომ მათი შვილი თითქოს მოკლა ზურამ, რაც აბსურდია“.

რაც შეეხება ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე დაკავებულებს... საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი გოგინაშვილმა მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, როგორც ამას პროკურატურა მოითხოვდა. დაცვის მხარე კი დაკავებულების გირაოთი გათავისუფლებსას მოითხოვდა. დაკავებულებს ბრალი განზრახ მკვლელობის, მისი ორგანიზებისა და მტკიცებულებების ფალსიფიცირების მუხლით წარუდგინეს. პროცესზე დაკავებულები ბრალს არ აღიარებდნენ და გირათო გათავისუფლებას ითხოვდნენ. ერთ-ერთმა ბრალდებულმა კახა ნაკანმა აღნიშნა, რომ ის სპეცრაზმში მუშაობით ამაყობს. **„1996 წლიდან ვმუშაობ სპეცრაზმში. ომის მონაწილე ვარ, მე ვამაყობ ამ ბიჭებით და იმით, რომ სპეცრაზმში ვმუშაობდი“,** — დასძინა მან.

**„ღმერთმა აცხონოს გარდაცვლილი ვაზაგაშვილი და მამამისი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავიმალებით. ჩვენ სხვანაირი ცხოვრებით ვცხოვრობთ და არ შეგვიძლია, ქვეყანას სულში ჩავაფურთხოთ. გთხოვთ, მიიღეთ სამართლიანი გადაწყვეტილება და რაც გვეკუთვნის, ის მოგვისაჯეთ“,** — მიმართა მოსამართლეს გიორგი გულბანმა.

რაც შეეხება, ირაკლი ფირცხალავას, ბრალს არც ის აღიარებდა და აცხადებდა, რომ ხუბულოვი ინფორმატორი არ ყოფილა და ის ამ ბიჭებს ვაჟკაცურად შეეწირა. **„მთელმა თბილისმა იცის, რომ ხუბულოვს სოდისთვის არაფერი უთქვამს და ჩემი ძმა მე თვითონ დავაკავე. მან სასჯელი მოიხადა და ახლა ღირსეული მოქალაქე და მამაა, ბედნიერი ვარ, რომ ამ ადამიანებთან ერთად ვზივარ. წლების განმავლობაში მათ გვერდით ვიდექი. გიორგი ცააძეს დამსახურებაა, ქვეყანაში ავტომობილების გატაცების ამოძირკვა. ბეროძე ის გამომძიებელია, რომელიც არასოდეს გარიგებაზე არ წასულა. კახა ნაკანი კი ფლობს ყველა ჯილდოს, რაც კი არსებობს. იმ დღეს მოხდა ტრაგედია და ამ ადამიანებმა სიკვდილს თვალებში ჩახედეს“,** — განაცხადა პროცესზე ფირცხალავამ.

საქმეზე გამოძიება გრძელდება. საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის, „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით და 147- მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას 10-დან 20-წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მომდევნო პროცესი 21 მარტს არის ჩანიშნული...

**თეა მოსია**

---

◎ ბინძური თამაში

## ირმა ინაშვილი:

# ფურთხის ღირსიც არა ხარ, „რუსთავი-2“-ო!

**„ამუშავდა ბინძური პროპაგანდისტული მანქანა ზურაბ და იური ვაზაგაშვილების წინააღმდეგ. გამოჩნდნენ ფსიქიკურად არაჯანსაღი რესპონდენტები, რომლებიც მოკლულ მამა- შვილს კრიმინალებად აცხადებენ. ამ რესპონდენტებს „ეფექტურად“ იყენებს „რუსთავი-2“, როგორც ნაცისტების დასაყრდენი საინფორმაციო საშუალება“,** — ამ განცხადებას „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი facebook-ის პირად გვერდზე აკეთებს:



**„ეს პროპაგანდა, თავისი სტილით, ძალიან ჰგავს საბჭოთა პროპაგანდისტულ სისტემას, როცა არასასურველ ადამიანებს მკვლელებად, კრიმინალებად, წამლის ბარიგებად აცხადებდნენ. თუ ზურაბ ვაზაგაშვილი კრიმინალი იყო, ან იური ვაზაგაშვილი „სუბოტექსის“ რეალიზატორი (რისიც მე კატეგორიულად არ მჯერა და არასდროს დავიჯერებ), საქმის არსი იცვლება? ან ერთი უნდა მოგეკლათ კორტებთან, საკონტროლო გასროლით და ათობით ტყვიით, ან მეორე უნდა აგეფეთქებინათ ყარაფილას სასაფლაოზე?! დღითი დღე მიმძაფრდება რწმენა, რომ ვაზაგაშვილების მკვლელთა წრე გაცილებით ფართოა. ვერტიკალი ზემოთ, მაშინდელი ძალოვანების პირველი პირებისკენ მიდის. ისინი სარგებლობენ „რუსთავი-2“-ის ღია მხარდაჭერით, მწამებელთა პარტიის — ნაცისტების ღია მხარდაჭერით. გამოძიება სწორედაც რომ ზუსტი მიმართულებით ვითარდება. და რაც უფრო მეტად იკვეთება მკვლელთა სახელები, მით უფრო აგრესიული, სამარცხვინო და ამაზრზენი ხდება ეს პროპაგანდა. ამ შემთხვევაში დამნაშავის ფსიქოლოგია როგორია? გადმოდის შეტევაზე, ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა... პარალელურად, დაკავებულია მსხვერპლის იმიჯის შელახვით, მიცვალებულთა ღია შეურაცხყოფით, მთელი ოჯახითაა ჩართული ამ ნაგავში, ამ სიბინძურეში... ჰგონია, რომ ბოკერია და ლევან რამიშვილი სწორ და სასარგებლო პიარ-რჩევებს აძლევს...**

**ცდებით! ხალხი ყველაფერს კარგად ხვდება. გამოძიება მიწიდან ამოგთხრით. სამართლიან განაჩენს ვერ აცდებით. ამ ისტორიაში ყველაზე გულისამრევი ჟურნალისტთა თანამონაწილეობაა, რომლებმაც (რატომღაც) დღეს აღმოაჩინეს ვინმე „თბილისელი“ გაბუნია. მიმიფურთხებია კი არა, ჩვენი ფურთხის ღირსიც არა ხარ. სიბრალულს კი არა, საყოველთაო ზიზღს იწვევ... და ამ ზიზღს შვილმოკლული გაბუნიას გარდა, „რუსთავი-2“ იწვევს... სააკაშვილის დაბრუნების მოლოდინში (გაითვალისწინეთ, რომ დაბრუნდება მხოლოდ პატიმრის სტატუსით) დიდად დაგვავალებთ, თუ თავს შეიკავებთ და ჟურნალისტიკის ელემენტარულ წესებს დაემორჩილებით. ყოველი შემთხვევისთვის... ნამეტანი ფირცხალავები ნუ გახდებით. ტეხავს“,** — წერს ირმა ინაშვილი.

◉ რატომ?

# ყაზახებმა ფოთში ტერმინალზე უარი თქვეს



**ფოთის ხორბლის ტერმინალს ყაზახები აღარ ააშენებენ. შუა აზიელებმა საერთოდ გადაიფიქრეს ამ მიმართულებით გააქტიურება და რამდენჯერმე შეწყვეტილ-განახლებულ პროექტს საბოლოოდ დაუსვეს წერტილი.**

ასილჟან მამიტბეკოვი ამბობს, რომ ხორბლის ტრანსპორტირების სუბსიდირებაზე ყოველწლიურად ბიუჯეტიდან დაახლოებით 15 მლრდ ყაზახური ტენგე იხარჯება. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ ეს რესურსი ადგილობრივი ფერმერების ხელშეწყობაზე დაიხარჯება.

**„ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ფოთსა და ვლადივოსტოკში ტერმინალების მშენებლობასა და ხორბლის ტრანსპორტირების სუბსიდირებაზე. უმჯობესია, ეს ფული მოვახმაროთ ჩვენი ფერმერების მხარდაჭერას, ლიზინგის სუბსიდირებაზე“,** — აღნიშნა მამიტბეკოვმა.

ყაზახურმა მხარემ საქართველოში ტერმინალის მშენებლობაზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2007 წელს მიიღო. პროექტი ქართულ-ყაზახური მხარის თანამონაწილეობას (50-50) ითვალისწინებდა. მოგვიანებით, ყაზახურმა მხარემ ტერმინალის მშენებლობა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის გამო გადაიფიქრა. 2010 წელს ყაზახეთთან მოლაპარაკება ამ თემაზე ისევ განახლდა.

საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავა აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ყაზახეთის მიერ სტრატეგიის ცვლილებამ განაპირობა, რომელიც უფრო მეტად ადგილობრივ წარმოებაზე ხდება ორიენტირებული.

**„ამ პროექტის განხორციელებით ყაზახეთს საკუთარი მიზანი ჰქონდა. მათ უნდოდათ გასვლა შავ ზღვაზე. ჯერ კიდევ 2007 წელს საკუთარი დერეფნის შექმნის მოტივაციით მოქმედებდნენ. ისინი, ფაქტობრივად, ჩაკეტილები არიან და არა აქვთ გასასვლელი ზღვაზე. ყაზახეთს ხორბალი მიაქვს უკრაინის ან რუსეთის პორტებამდე და ამის შემდეგ ხდება მისი გატანა სხვა ქვეყნებში“,** — განაცხადა სილაგავამ.

ყაზახებს 2007 წელს ჰქონდათ გეგმა, რომ საქართველოს გავლით დერეფანი გაეკეთებინათ, ანუ ხორბალი რკინიგზით მიეტანათ ფოთის პორტამდე, ხოლო პორტით შემდეგ მსოფლიო ბაზარზე.

მისივე ინფორმაციით, ბოლო პერიოდში ყაზახეთის გარდა, სტრატეგია შეცვალა რუსეთმაც. **„რუსეთმა ფაქტობრივად, საკუთარი ბაზარი ჩაკეტა და დააწესა საექსპორტო ბაჟი: ღირებულების 15%-ს პლუს 7,5 ევრო. ამან გამოიწევია ის, რომ რუსეთიდან ხორბლის ტრანსპორტირება შეჩერებულია. ყველაფერს ემატება რუბლის დევალვაციაც, თუმცა, ფქვილის ექსპორტი შეჩერებული არ აქვთ, პირიქით, წაახალისეს კიდეც. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუბლის ვარდნა მიმდინარეობს, ამით ახერხებენ იმას, რომ სამუშაო ადგილები შეინარჩუნონ, ანუ პროდუქტი იქმნება და ქვეყანა საკუთარი ბაზრის ხელშეწყობას ახდენს.**

**იგივეა უკრაინაშიც, რომელმაც ხორბლის ექსპორტზე კვოტა დააწესა. რამდენიმე დღის წინათ უკრაინის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ხორბლის ექსპორტიორთა ასოციაციამ კვოტირებაზე მემორანდუმი გააფორმეს. სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ადგილობრივი პროდუქციის წახალისებაზეც, ანუ ხორბლის გადამუშავებაზე და შემდგომ ფქვილის გატანაზე“,** — აცხადებს სილაგავა.

დემპინგური ფასი აქვს თურქეთსაც. მაგალითად, თურქული ფქვილი ქვეყნის შიგნით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე უცხოეთში ექსპორტირებული. თუ მეწარმეს ფქვილი ექსპორტზე გააქვს, შემდგომ შემოტანილ ხორბალზე სახელმწიფო დემპინგურ ფასს უწესებს.

**— აქედან გამომდინარე, შესაძლოა, პრობლემა შეგვექმნას, რადგანაც ბაზარზე გაზარდოს ფქვილის ნაკადი, მაგრამ საკითხი არ დგას ისე, რომ ქართულ ბაზარზე ფქვილი არ შემოვიდეს. აქ მთავარია ის, რომ არასამართლიანი კონკურენცია იქმნება,** — აღნიშნა სილაგავამ.

**ბექა დანელია**

◉ ექსპორტმა იკლო

# ქართულ ღვინოს რუსულმა რუბლმა უღალატა

**ქართული ღვინო რუსეთში ახალ პრობლემას შეეჩეხა, რომელსაც რუბლის მკვეთრი გაუფასურება ჰქვია. იანვარში საქართველოდან ჩრდილოეთისკენ ალკოჰოლური პროდუქციის ექსპორტმა მკვეთრად იკლო, ზოგიერთმა კომპანიამ კი საერთოდ ვერაფერი გადაზიდა.**

რუბლის გაუფასურებამ პრობლემები არა მარტო რუსეთს, არამედ ექსპორტიორ ქვეყნებსაც შეუქმნა. ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლები რუსეთში მსყიდველუნარიანობის დაქვეითების გამო, იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების მატებასა და მოთხოვნის შემცირებაზე საუბრობენ. ისინი ელოდნენ, რომ რუსეთში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა არ შემცირდებოდა, თუმცა, რეალობა აბსოლუტურად სხვაგვარია — მათ შერჩათ ძვირად ნაყიდი ყურძენი, რუსეთში ღვინოზე მოთხოვნა კი, ფაქტობრივად, განახევრებულია.

**„იანვარში ჩვენ არ გვქონია რუსეთში გადაზიდვა, თუმცა, თებერვლიდან ვაპირებთ, რომ აღვადგინოთ. თებერვლისთვის უკვე გვაქვს შეკვეთა, დაახლოებით, 10 000 ბოთლზე, მაგრამ იანვარში ჩვენი ექსპორტი რუსეთში, ალბათ, 0-ის ტოლი იქნება“,** — განაცხადა კომპანია „თბილღვინოს“ ხელმძღვანელმა გიორგი მარგველაშვილმა.




კომპანია „ასკანელის“ დამფუძნებელი ჯიმი ჩხაიძეც ამბობს, რომ პროდუქციის ექსპორტი, რუბლის კურსის ცვალებადობის გამო, შეფერხებულია, თუმცა, ამ თემაზე ვრცლად საუბრისგან თავს იკავებს. კომპანიაში აცხადებენ, რომ იანვარში რუსეთიდან შეკვეთები არ ჰქონიათ.

„თელავის ღვინის მარნის“ დამფუძნებელი ზურა რამაზაშვილის ინფორმაციით, კომპანიამ ახალ წლამდე პროდუქციის საკმაოდ დიდი რაოდენობა გადატვირთა, მაგრამ 2015 წელს ჯერ არაფერი გაუტანიათ.

სოფლის მეუნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძე კი ამბობს, რომ ოფიციალურ სახელმწიფოთა დონეზე რამე მსგავსი შეტყობინება, თითქოს, რამე სახის შეზღუდვები არსებობს ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე გატანასთან დაკავშირებით, არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს და არც ღვინის ეროვნულ სააგენტოს არ მიუღია.

ქართული ღვინისგან განსხვავებით, რუსეთში ქართულ კონიაკის ექსპორტი არ შეჩერებულა. კონიაკის მწარმოებელი კომპანიები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთში ქართულ კონიაკზე დიდი მოთხოვნაა.

**დათო დანელიშვილი**

◉ ნავთობის ბაზარი

# რა ამოძრავებს ფასს?

**— ნედლ ნავთობზე მსოფლიო ფასების შემცირებაში უჩვეულო არაფერია, ამდენად, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას, უმჯობესია მოვერიდოთ, — განაცხადა ნავთობის მწარმოებელი უდიდესი ქვეყნების გაერთიანების — ოპეკის გენერალურმა დირექტორმა აბდალა ბადრიმ. — დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ ნავთობის ფასი აღდგება და ჩვენ ძალიან მალე დავუბრუნდებით ჩვეულ მდგომარეობას, — აღნიშნა კარტელის თავკაცმა.**



ოპეკის თავკაცის თქმით, ორგანიზაციის ქვეყნები ყოველდღიურად 30 მილიონ ბარელ ნავთობს იღებენ და ეს მაჩვენებელი ბოლო ათი წლის მანძილზე უცვლელია. ამავე დროს, ოპეკის არაწევრმა ქვეყნებმა ნავთობის წარმოება მთლიანად დღეში 7 მილიონ ბარელამდე გაზარდეს. ეს ძვირად ღირებული ნედლეულია, რომლის ბარელი 100 დოლარზე მეტი უნდა ღირდეს. ერთი ბარელი ნავთობი კი ამჟამად 45-46 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

მან ასევე დასძინა, რომ, როცა ცოტა ხნის წინათ ოპეკმა ნედლი ნავთობის წარმოების უწინდელ დონეზე დატოვება გადაწყვიტა, ეს რომელიმე კონკრეტული ქვეყნის, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი არ ყოფილა. გადაწყვეტილება წმინდა წყლის ეკონომიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი.

ნედლ ნავთობზე ფასების დონის თაობაზე სამომავლო პროგნოზით, ავტორიტეტული სააგენტო „მუდისი“, კერძოდ, აცხადებს, რომ **2015 წლის ზაფხულში, ხანგრძლივი ვარდნის შემდეგ, ერთ ბარელის ფასი 80 დოლარამდე აიწევს, 2018 წლის შემდეგ კი იგი 100 დოლარის ნიშნულზე სტაბილურად გაჩერდება.**

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ მიმდინარე წლის შუა პერიოდიდან დაწყებული, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებაში ინვესტირების შემცირება და ნედლ ნავთობზე დაბალი ფასები ამერიკულ ნავთობმომპოვებელ კომპანიებს ნედლეულის მოპოვების შემცირებას აიძულებს, რის შედეგად ერთი ბარელის ფასი საგრძნობლად გაიზრდება.

რაც შეეხება ნედლ ნავთობზე სადღეისოდ არსებულ დაბალ ფასებს, სპეციალისტები ამის მიზეზად იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერაყსა და ლიბიაში ნავთობმოპოვების მოცულობის მკვეთრი ზრდით ხსნიან. აღნიშნავენ იმასაც, რომ ასეთი ვითარება ნავთობმომპოვებელი ქვეყნების უმრავლესობისთვის მეტად არახელსაყრელია, რადგან ფასების ვარდნის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ან საბიუჯეტო ხარჯის შემცირება, ანდა გადასახადების გაზრდა მოუწევს. მსოფლიოში ყველაზე მძლავრ ეკონომიკაში კი ვითარების არევდარევა ხელს არავის არ აძლევს, ვინაიდან ნავთობპროდუქტების გასაღების ყველაზე დიდი ბაზარი სწორედ იქ არის.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ალიან-ჩალიანი

# გამგეობებმა მოქალაქეთა პრობლემების მოგვარებაზე უნდა იზრუნონ

**დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ გამგეობებს დაავალა, დროულად დაიწყონ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ადმინისტრირება.**

**დავით ნარმანიამ რამდენიმე განცხადება გააკეთა. ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა საკრებულოს მიერ მიწათმესაკუთრეთა ამხანაგობის ადმინისტრაციის წესში შეტანილ ცვლილებებს.**

**დავით ნარმანიამ განმარტა, რომ ამ ცვლილებებზე მერია დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. ნარმანიას განცხადებით, ამ წესში ცვლილებებით ამხანაგობების საქმიანობის ეფექტურობა უფრო გაიზრდება. იმავე წესით, მნიშვნელოვნად იცვლება მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების ოდენობა. კერძოდ, ზოგიერთი მიმართულებით მუნიციპალიტეტის დაფინანსება იზრდება, რათა ამხანაგობებმა ადგილზე უფრო მეტი პრობლემის მოგვარება შეძლონ და მეტი პროგრამა განახორციელონ.**

**დედაქალაქის მერმა დაავალა გამგეობებს, არ დარჩეს კორპუსებთან, ეზოებთან და ბინებთან დაკავშირებული საკითხები მოუგვარებელი. კერძოდ, რაც მერიის კომპეტენციაშია, მოახდინონ დროული რეაგირება მოქალაქეების ყველა პრობლემაზე.**

**ინტერპრესი**

◉ „აწარმოე საქართველოში“

# ახლა უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით

**პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“, რომლის წარმატებით განხორციელებაზე მთავრობის ეკონომიკური გუნდი დიდ იმედებს ამყარებს, ახლახან მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. საქმე ეხება მეწარმე სუბიექტის მიერ საბანკო კრედიტის გამოტანისთვის აუცილებლად წარსადგენი გარანტიის მოცულობას, რომელშიც უწინდელი 30 პროცენტის ნაცვლად სახელმწიფო ახლა უკვე 50 პროცენტით მონაწილეობს. ეს ცვლილება ყველა დონის მეწარმესთვისაა მნიშვნელოვანი, მაგრამ განსაკუთრებით დადებითი გავლენა აღნიშნულმა გარემოებამ საშუალო და მცირე ბიზნესის იმ წარმომადგენლებზე უნდა მოახდინოს, რომლებსაც თავიანთი საგარანტიო 70-პროცენტიანი წილის უზრუნველსაყოფად მატერიალური სიმძლავრე არ ჰყოფნიდა.**

შარშან ივნისში დაწყებულ სამთავრობო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ ამჟამად შვიდ ათეულამდე ბენეფიციარია ჩართული. სადღეისოდ ახალ საწარმოთა მშენებლობაში, რომლებიც მწყობრში 2017 წელს უნდა ჩადგეს, 130 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციაა განხორციელებული.

ბუნებრივია, რომ როცა საქმე ახალი სამეწარმეო პროექტის ფრთაშესხმაზე მიდგება, ყველაზე მთავარი საკითხი მის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური სახსრების გამონახვაა. ამ გზაზე კი ყველაზე დიდი დაბრკოლება საბანკო კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთია. პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი მხარეც სწორედ მეწარმე სუბიექტთან ერთად სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსების ვალდებულებაა, რაც სესხის ოდენობის 10 პროცენტს შეადგენს, ხოლო მეწარმისთვის მასზე საპროცენტო განაკვეთი 0-დან 3 პროცენტამდე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად უძრავი ქონების წარდგენა. პროექტის პირობებში შესული ცვლილებაც სწორედ სესხის უზრუნველყოფაში სახელმწიფო წილის 30-დან 50 პროცენტამდე გაზრდას გულისხმობს. ამდენად, ახლა საბანკო სესხის დაბრუნებას მეწარმე სუბიექტიც და სახელმწიფოც თანაბრად კისრულობენ, რისკის ტვირთის შემცირება კი კრედიტის ამღებს საქმეს გაცილებით უადვილებს, ვინაიდან ბევრ შემთხვევაში მრავალი მსურველი ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა. ბუნებრივია, რომ შეღავათის დამკვიდრებით არაერთ მეწარმე სუბიექტის პროექტს მიეცემა „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეობის მიღება, რის საშუალებასაც მანამდე მოკლებული იყო.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მეორე კომპონენტი იმას ითვალისწინებს, რომ თუკი მეწარმეები საქმის აწყობაში ქალაქში ქონების ამჟამინდელი ღირებულების ოთხმაგი, მხარეებში კი ექვსმაგი ოდენობით ინვესტიციებს განახორციელებენ, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქონება მათ სიმბოლურ ფასად გადაეცემათ.

კიდევ ერთი სიახლეა პროგრამაში სალიზინგო კომპანიების ჩართვა. საქმე ის არის, რომ დღესდღეობით ბევრ კომპანიას სესხის უზრუნველსაყოფად დამატებითი რესურსების დეფიციტი აქვს, ამიტომ, მათთვის საქმის წარმართვის გასაიოლებელ გზად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ლიზინგით შეძენილ ტექნიკას მიიჩნევს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს თანადაფინანსება 12 პროცენტი იქნება, ხოლო მეწარმეს სესხის პროცენტები 3-5 პროცენტის ფარგლებში იქნება მოქცეული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტში შეტანილ ცვლილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა საშუალო და მცირე მეწარმეებისთვის ექნება, რომელთა გეგმები მეწარმეობის განვითარების სააგენტოს უშუალო მონაწილეობით განხორციელდება. თებერვლიდან პროექტის განხორციელება ქვეყნის ყველა მხარეში დაიწყო და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა ყველა რაიონის მოსახლეს ექნება. ამდენად, „აწარმოე საქართველოში“ მთელ ქვეყანას მოიცავს. საგულისხმოა, რომ საშუალო და მცირე მეწარმეობის განვითარების პროექტი ორკომპონენტიანია: პირველია სამეწარმეო განათლების დონის ამაღლება და შესაბამისი უნარების დახვეწა, მეორე კი თანამონაწილეობითი გრანტი.




სამეწარმეო გამოცდილების არმქონე სუბიექტებს საგანგებო ტრენინგები ჩაუტარდებათ, რის შემდეგ მათ მარტივი ბიზნეს-გეგმები ექნებათ წარსადგენი, რომელთა შერჩევის შემთხვევაში თანამონაწილეობითი გრანტები გადაეცემათ. თითოეულ შერჩეულ მეწარმეზე გრანტის ოდენობის ზღვარი 5 ათასი ლარი იქნება, ხოლო თავად გრანტის 20 პროცენტი ექნება დასაფინანსებელი. აღსანიშნავია, რომ წარსადგენი პროექტები რომელიმე კონკრეტული სფეროთი, ვთქვათ, სოფლის მეურნეობით, ინფრასტრუქტურული მიმართულებით თუ სხვა, შეზღუდული არ იქნება — ამ მხრივ ყველაფერი საქმის წამომწყების უნარსა და ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი „აწარმოე საქართველოში“ ეკონომიკის ფაქტობრივად ყველა სფეროს მოიცავს, მასში რაიმე სექტორული შეზღუდვა დაწესებული არ არის, ხოლო ყველა მიმართულება კოდექსის მიხედვით შესაბამის საიტზე (www.qartuli.ge) არის განთავსებული. ერთადერთი გარემოება, რომელზეც ყურადღების გამახვილება გვინდა, ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში აქცენტი გაკეთებულია გადამმუშავებელი და მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა-გაფართოებაზე. სოფლის მეურნეობა ასევე შვიდ დამატებით პროგრამას მოიცავს, თუმცა, მათში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის სხვა მექანიზმები მოქმედებს.

პროექტის ერთი ნიუანსი, რომლის თაობაზეც მასმედიაში ნაკლებად ლაპარაკობენ, ის არის, რომ ახალი საწარმოების შექმნის გარდა იგი უკვე არსებული საწარმოების გაფართოებასაც გულისხმობს. ამ განზრახვის მქონე მეწარმეს სახელმწიფო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე მეწარმეობის სააგენტოს სახით, დახმარებას ორი სხვადასხვა გზით გაუწევს. პირველი მათგანია საბანკო კრედიტზე გადასახდელი პროცენტების თანადაფინანსება: კომბანკის მიერ მეწარმისათვის სესხის დამტკიცების შემდეგ, ბანკი სახელმწიფო უწყებას შესაბამის შეტყობინებას გაუგზავნის და თუ სესხის მოცულობა ორ მილიონ დოლარს არ აღემატება, მაშინ მას უპრობლემოდ დაამტკიცებენ. ხოლო თუ კრედიტის თანხა ორ მილიონ დოლარზე მეტია, მაშინ პროექტს ქვეყნის მთავრობის სხდომაზე განიხილავენ. მეწარმისთვის სახელმწიფო დახმარების გაწევის მეორე ხერხი კი იმას გულისხმობს, რომ თუ გარკვეული ქონების მეპატრონე სუბიექტს წარმოების გასაფართოებლად მიწა სჭირდება, მის გამოყოფაში მას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქონების მართვის სააგენტო დაეხმარება. გარკვეული ბიუროკრატიული პროცედურების გავლის შემდეგ მეწარმე სუბიექტს უძრავი ქონება გარკვეული ვალდებულების პირობით გადაეცემა. კერძოდ, მან ორი წლის განმავლობაში ახალი საწარმო უნდა შექმნას და ხელშეკრულებით ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებები პირნათლად შეასრულოს.

რაც შეეხება უძრავი ქონების არმქონე მეწარმეებს, რომლითაც ისინი საბანკო სესხის უზრუნველყოფას შეძლებდნენ, მათ შეუძლიათ სალიზინგო კომპანიებს მიმართონ და პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა ამ გზით მიიღონ:

ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ მეწარმეებს პროექტში მისაღებად დედაქალაქში ჩამოსვლა არ დასჭირდებათ, რადგან ყველა მხარეში ადგილობრივი სამუშაო ჯგუფები იქნება შექმნილი, რომელთა წევრები თავად დაივლიან ყველა რაიონის თითოეულ სოფელს და მოსახლეობას მასში მონაწილეობის პირობებს გააცნობენ. ამის გარდა, რეგიონებში მეწარმეთათვის ტრენინგ-ცენტრებიც შეიქმნება, სადაც ისინი საჭირო ცოდნასა და უნარებს შეიძენენ. მცირე ბიზნესის წამოსაწყებად თავდაპირველად ადგილობრივ პირობებზე კარგად მოფიქრებული და გათვლილი იდეა არის საჭირო, შემდგომ კი მისი შესაბამისი ბიზნეს-გეგმის სახით ჩამოყალიბებაა აუცილებელი. მერე კი, პროექტში მონაწილე კაცისთვის, საქმე უკვე სახელმწიფოს მხრიდან 20-პროცენტიან თანადაფინანსებაზე მიდგება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში პროექტში მონაწილე კომპანიების შერჩევისა და გარკვეული წვრილმანების დაზუსტება დასრულდა. ქვეყნის მთელი ტერიტორია ლოტებადაა დაყოფილი, პროექტის განხორციელება კი თებერვლის დამდეგიდან დაიწყო. დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტებს პირველადი ინფორმაციის მიღება ეკონომიკის სამინისტროში შეუძლიათ, ხოლო დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მეწარმეობის განვითარების სააგენტოს უნდა მიმართონ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ „იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა, თორემ?!.“

# კატასტროფა, რაც საფრთხეს შეუქმნის ქართველი ერის არსებობას!

**(მესამე გვერდიდან)** მოცემული კანონპროექტი ამ ისტორიის ტრაგიკულად განმეორების საფუძველს იძლევა. თუ მაშინ საქართველოდან მასობრივი წასვლის საშუალება არ იყო, დღეს ეს პრობლემა მოხსნილია — უმიწოდ და უსახლკაროდ დარჩენილი სადღაც ბედს ეწევა, მით უმეტეს, რომ შეიძლება იყოს ამ დროისთვის „უვიზო რეჟიმიც“ „გავინაღდოთ“!

**მაგალითი მეორე**. აფხაზეთ-სვანეთ-სამურზაყანოში, სამაჩაბლოში დაარიგეს რუსეთის პასპორტები და შემდეგ ეს მიზეზად გამოიყენეს „საკუთარი მოქალაქეების“ დასაცავად. **დღეს დაპყრობილი ტერიტორია დანარჩენი საქართველოსთვის რა არის? ის, რისი დათმობაც არ შეიძლება, თუ მიწა, რომელიც შეიძლება ყველამ იყიდოს?** აფხაზეთის ფართობი 8700კმ², ხოლო სამაჩაბლო 3800კმ², ანუ 870000 და 380000 ჰა-ია. იმ ფორმითა და იმ ფასად , როგორც ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო მიწებს ჰყიდდა, და როგორც ეტყობა კანონპროექტის მიხედვით მისი ავტორები იმ პოლიტიკის გაასმაგებულად გაგრძელებას აპირებენ, **მთელი ამ 1250000ჰა-ს ფასი არის 1250000000 ლარი, ანუ 1,25 მლრდ.ლარი, ანუ იმდენი, რამდენიც ბანკების ვალუტაში მევალეებმა თვენახევარში დაკარგეს ლარის გაუფასურების გამო!**

**ხომ არ ვამზადებთ ამ მიწებს გასაყიდად, თუ გაყიდულია უკვე, და ახლა გაფორმებაღაა საჭირო**.

**მაგალითი მესამე**. ბელგიაში იყო მეფე ლეოპოლდ II (1835-1909 წწ), რომელმაც 1876 წელს ბრიუსელში ჩატარებულ გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე ცენტრალური აფრიკის დასავლეთის ფასეულობებთან და ცივილიზაციასთან საზიარებლად ჩამოაყალიბა რამდენიმე არასახელმწიფო ორგანიზაცია („კონგოს საერთაშორისო ორგანიზაცია“, „ზემო კონგოს შესწავლის კომიტეტი“ და სხვ). ამ ორგანიზაციის სახელით კონგოში გაგზავნა ემისრები, რომელთაც ტომის ბელადებისგან ნებაყოფლობით, საფასურით მიღებული მიწები ამ ორგანიზაციების საკუთრებად გადააფორმეს. ამ ორგანიზაციების მესაკუთრე კი იყო ერთი კაცი — ლეოპოლდ II, რომელიც კონგოში არასდროს არ ჩასულა. ასე აღმოჩნდა მის ხელში 2 მლნ. კმ², ანუ საქართველოზე (დაპყრობილი ტერიტორიების ჩათვლით) 28,5-ჯერ მეტი ტერიტორია. ლეოპოლდ II-მ ამ ტერიტორიაზე საკუთარი სახელმწიფო შექმნა.ის იყო ბელგიის მეფე და კონგოს სახელმწიფოს ყველა მიწის მფლობელი. მას 1884-1885 წლებში დაეთანხმა ბერლინის კონფერენცია. 10 მილიონამდე კაცის სიცოცხლე შეეწირა ტომის ბელადების მიერ მიწების არასამთავრობო, არაკომერციული, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიყიდვას. ლეოპოლდი 1909 წელს გარდაიცვალა, მაგრამ კონგოს მოსახლეობამ თავი მისგან 1960 წლამდე ვერ დაიხსნა, ხოლო ქვეყანა დღემდე ვერ დალაგდა ამ ისტორიული უკუღმართობის გამო.

**მსოფლიო აკრიტიკებს ლეოპოლდ II-ს, მაგრამ ბელგიაში მან ბევრი რამ გააკეთა და მას პატივს მიაგებენ ბელგიელები. გამართლება ლეოპოლდს არა აქვს, მაგრამ კონგოელთა ტრაგედიის მიზეზი იყვნენ მათი ტომის ბელადები, რომელთაც არ ეყოთ ჭკუა-გონება, რომ მათთვის შეთავაზებულ წინადადებებში 5 -10 წლის შემდგომი შედეგი დაენახათ!**

მაგრამ კონგოელ ტომის ბელადებსაც არ ჩაუდენიათ ის, რასაც ჩვენი ხელისუფლება — „ჩვენი ბელადები“ აპირებენ ამ კანონპროექტით. ისინი აპირებენ, მოამზადონ კანონმდებლობა და თვითონ მოძებნონ ლეოპოლდ II, ან ლეოპოლდები (თუ ისინი უკვე მოძებნილი არ არიან), რათა მიჰყიდონ საქართველო.

საყდრისი...

დედა-სამშობლოს, დედა-მიწის გაყიდვა....

შემდეგი ნაბიჯი რაღაა — ფეხქვეშ მიწა დაიწყებს წვას!!!

**მიხეილ ჯიბუტი,**
**პროფესორი**

**P. S. უკვე თითქმის ვიღაცამ ჩართო მანქანა, რათა ყველა გაერთიანდეს ერთის — ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. შემდეგ ითქმება, რომ ოღონდ ბიძინა არა და ვინც გინდა ის იყოს. ასე ბევრჯერ მოხდა, ახლა ხელს რა შეუშლის?!**

**ამის დაუშვებლობის შანსი აქვს ივანიშვილს, თუ მას კიდევ დარჩა რეალურად მართვის რესურსი და თუ ამას მის წინააღმდეგ ამხედრების მიზნის მისაღწევად არ მიაწერენ. აგორებულ ტალღაზე მოსაქცევად საუკეთესო საშუალება ამ კანონის ამ სახით დაბლოკვა, მასში ჩადებული აზრების მხილებაა! ბიძინა ივანიშვილმა ლეოპოლდის აჩრდილი უნდა მოაშოროს საქართველოს, ან გაიზიაროს ქართველი ხალხის ტრაგიკული ხვედრი!**

**მ. ჯ.**



# ხილულზე უფრო საშიში უხილავი ავტორიტეტია, რომელიც სხვა კანონებით განაგებს დაწესებულებას

**დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში კრიმინალთა აღზევებაა, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია სასჯელის აღსრულების ადგილებში (ციხე-კოლონიებში). გამოჩნდნენ ზონების, კორპუსების, კამერების „მაყურებლები“. კრიტიკოსებში განსაკუთრებით აქტიურობენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ამ კუთხით თავისი მუშაობის დამსახურებად მიიჩნევენ იმას, რომ „ავტორიტეტები“ ერთი ხელის მოსმით ჩაყარეს მკაცრი დაწესებულებების იზოლატორებში. „ნაცებმა“ ჩათვალეს, რომ „ქურდულ სამყაროს“ ბოლო მოუღეს, მაგრამ ეს სწორი სვლა არ აღმოჩნდა, რადგან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ყოველთვის გამოჩნდებიან ლიდერობის მსურველები, „მაყურებლები“. თუ ასეთი პიროვნება არ გამოჩნდებოდა, ადმინისტრაცია საკუთარი შეხედულებებით (თუ რის გამო, ცხადია) ნიშნავდა თავის „ნამესტნიკს“. თუ ისიც ვერ გაამართლებდა იმედებს, ციხე-კოლონიათა ხელმძღვანელობის ხელთ იყო სპეცრაზმი, „დუბინკები“, წამების სხვადასხვა მეთოდები და ხერხები, ცოცხები, ბოთლები და ა. შ.**

სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში სიტუაცია 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა და თანდათან უახლოვდება ცივილიზებულ სამყაროში დაფუძნებულ მოსაზრებას — ციხე, თავისუფლების აღკვეთის ადგილები უნდა ემსახურებოდეს პიროვნების საზოგადოებისგან იზოლირებას და ამ მეთოდით დასჯას (გააჩნია დანაშაულის სიმძიმეს). პატიმარს უნდა ჰქონდეს პირობები, დაფიქრდეს თავის ნამოქმედარზე, ანალიზი გაუკეთოს ყოველივეს და გამოსწორებული დაუბრუნდეს საზოგადოებას, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი (და არა როგორც ჩვენთან — დათრგუნვილი, დეგრადირებული და ყველას მიმართ გაბოროტებული).

სასჯელის მოხდის ადგილებში ვითარების გარკვეულმა ლიბერალიზაციამ, გამოცოცხლების საშუალება მისცა იქ განთავსებულ კრიმინალურ ავტორიტეტებს. დაიწყო აღდგენა „მაყურებლის ინსტიტუტმა“, გაჩნდნენ პრიორიტეტული პატიმრები. სწორედ ეს გარემოება აქვთ ხელზე დახვეული ნაციონალებს, რასაც უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე იქვე განმარტავს, რომ „ციხის ლიდერი“ (ჩვენთან „მაყურებელი“) მსოფლიოს და ქვეყნის ყველა მსგავს დაწესებულებაში არიან. მათი ერთი ხელის მოსმით მკაცრი რეჟიმის საკნებში მოთავსება გაუმართლებლად მიაჩნია ლორთქიფანიძეს, რადგან ისინი „გაგებისთვის მოწამე“ ვაჟკაცებად მიაჩნიათ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს. სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში კი მათი შემცვლელის მსურველი ყოველთვის მოიძებნება. ყოფილი სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის მამუკა ფხაკაძის განმარტებით, „მაყურებელი“ დაუწერელი კანონებით აკონტროლებს პატიმრებს. ამის გამო, ადმინისტრაციისთვის უმჯობელია ჰყავდეს ხილული, ვიდრე უხილავი ავტორიტეტი.

სულ სხვა აზრისაა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე ახა კახიშვილი. იგი ამბობს, რომ მზადდება კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ციხეებში პრიორიტეტული პიროვნებების გავლენის მაქსიმალურ შესუსტებას. პირველ რიგში, შეიქმნება სპეციალური საბჭოები, რომლებიც ინდივიდუალურად დაგეგმავენ, ამა თუ იმ პატიმარმა როგორი რეჟიმის დაწესებულებაში უნდა მოიხადოს სასჯელი. თუ მას სურს „შავი ცხოვრებით“ ცხოვრება და ამავე დროს ავტორიტეტია, იგი იზოლირებული იქნება სხვა მსჯავრდებულებისაგან. მკაცრი ტიპის რეჟიმში ყოფნა არ ნიშნავს ცალკე საკანში გამოკეტვას, საკვების მიწოდების შეზღუდვას, გამორიცხულია ფიზიკური და მორალური ზეწოლა და ა. შ., მაგრამ გამკაცრდება კანონით დაწესებული შეზღუდვები სატელეფონო ზარებსა და პაემნებზე. მათ არ ექნებათ საშუალება, თხოვნით მიმართონ შეწყალების კომისიას ვადამდე განთავისუფლების თაობაზე.

მინისტრის პირველი მოადგილის გადმოცემით, კანონპროექტში სასჯელმისჯილთა მიმართების გარდა, სერიოზული ცვლილებებია გათვალისწინებული კადრებთან დაკავშირებითაც. იზრდება სოციალური, სამართლებრივი და უსაფრთხოების დაცვის გარანტიები. იქმნება მიმზიდველი კარიერული სისტემა, გაიზრდება პენიტენციური სამსახურის პრესტიჟი, გარანტირებულია უწყვეტობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადებისა და განთლების მიღების მხრივ, მოხდება ყველა მოსამსახურის გადამზადება სახელმწიფოს ხარჯზე, რის შემდეგაც ყველა კონკურსგავლილი მიიღებს სახელწიფო სერტიფიკატს. მართალია, მოხდება სისტემის ახალი კადრებით შევსება (მხოლოდ სპეციალური სასწავლო კურსის სრულად გავლის შემდეგ), მაგრამ ამაში არ იგულისხმება ძველი გამოცდილი კადრების შემცირება, — ხაზს უსვამს სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოდგილე.

კახიშვილი ამბობს, რომ კანონპროექტის დამტკიცების, კანონიერ ძალაში შესვლისა და ცხოვრებაში რეალურად განხორციელების შემდეგ, „ქურდული“ მენტალიტეტის პატიმრებისგან ელიან სერიოზულ პრობლემებს (გაფიცვებს, შიმშილობებს, განზრაზ თვითმკვლელობებისა და სხეულის თვითდაზიანების მცდელობებს, მასმედიის საშუალებებით სამინისტროსა და ადმინისტრაციებზე ზეგავლენის მოხდენას — არ არის გამორიცხული „შავების“ მხრიდან რადიკალური ზომების გამოყენებაც, მაგრამ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. არ დავუშვებთ კრიმინალური ავტორიტეტების აღზევებას. მათ წინააღმდეგ ვიბრძოლებთ კანონით დაშვებული ყველა მეთოდით და არა ისე, როგორც ეს ხდებოდა 2012 წლამდე, განმარტავს მინისტრის პირველი მოადგილე. მისივე თქმით, წელში გატეხილი ავტორიტეტები, იგრძნობენ რა კანონის ძალას სამინისტროსთან, ციხე-კოლონიების ადმინისტრაციებთან დაიწყებენ ვაჭრობას, რათა ისინი კვლავ გადაიყვანონ ზონებში და განაგრძონ „მაყურებლის“ ფუნქციების შესრულება. ჩვენ ამისთვისაც ვართ მზად და არ დავუშვებთ კრიმინალური ავტორიტეტების ხელახალ აღზევებას, ამტკიცებს კახი კახიშვილი.

სამინისტროში რეფორმებთან დაკავშირებით, აცხადებენ, რომ იგეგმება უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის თანამედროვე მეთოდოლოგიასა და სტანდარტებზე გადასვლა, სოციალური სამსახურის მოდერნიზაცია, შიდა მონიტორინგის ეფექტური სამსახურის შექმნას, რომელიც შეამცირებს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს, გაზრდის პრევენციის ხარისხს.

შიდა მონიტორინგის გაზრდის პარალელურად არასამთავრობოები ითხოვენ საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნასაც, რადგან მხოლოდ შიდა მონიტორინგი არაეფექტური იქნება. არასამთავრობო ორგანიზაციები კონკრეტულს ვერაფერს სთავაზობენ სამინისტროს ე.წ. „მაყურებლის ინსტიტუტთან „დაკავშირებით, თუმცა, ზოგადად ეთანხმებიან მინისტრის პირველი მოადგილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასჯელის მოხდის ადგილებში, პრიორიტეტული პატიმრები არ უნდა არსებობდნენ. აქვე გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აუცილებელია პატიმართა შრომითი დასაქმება. საკუთარი გარჯით, ისინი შეღავათს მოუტანენ ბიუჯეტს, გაუჩნდებათ საკუთარი ფული (არა ხელზე, ბარათზე — **ზ.ბ.**) და, შესაძლოა, შეჭირვებული ოჯახებიდან გამოსულებმა რაღაც თანხები ოჯახებსაც გაუგზავნონ. ასეთ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება „ავტორიტეტებისგან“ უბრალო მშრომელი ადამიანების დაცვა, რათა მათ არ მოითხოვონ წილები, პროცენტები და ა.შ., როგორც ეს ადრე იყო, ამტკიცებენ სპეციალისტები.

## არანაკლებ საშური საქმე

**რა ბედი ელით ყოფილ პატიმრებს, როგორი იქნება მათი დასაქმებისა და რესოციალიზაციის საკითხები. ამაზე წინა ხელისუფლებას საერთოდ არ უფიქრია. მათთვის მთავარი იყო, რომ სასჯელმოხდილი ციხიდან გამოსულიყო დეგრადირებული, დაშინებული, საზოგადოებისთვის არასრუფასოვანი წევრი. ამ მხრივ ახალმა ხელისუფლებამ რამდენიმე დადებითი ნაბიჯი გადადგა. ამოქმედდა ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის იუსტიციის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას ითვალისწინებენ, მაგრამ მისასალმებელს თან ახლავს „ოცნების“ ხელისუფლებისთვის დამახიასიათებელი სენი — ინფორმაციულობისა და კომუნიკაბელურობის ნაკლებობა. როგორც დამნაშავეობის სოციოლოგიის სპეციალისტი ნაირა ქემაშვილი ამბობს, თავისუფლებაზე გამოსულთა დიდი ნაწილი ამ სერვისით ვერ სარგებლობს, რადგან მისი არსებობა არ იცის.**

ბევრი სამედიცინო დაწესებულება არ აკვალიანებს ყოფილ ტუსაღებს, რომ სახელმწიფო მათ სთავაზობს ჯანდაცვის პროგრამებს. ნებისმიერ მათგანს შეუძლია, მიმართოს ცენტრს, რომელიც ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება. ამ კუთხით ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობამ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებზე საკმაოდ მაღალანაზღაურებადი გრანტები გასცა. თუმცა, მათ მოსაგვარებლად მიზერული თანხები იხარჯება. ქემაშვილს საჭიროდ მიაჩნია მიზანმიმართული უცხოური გრანტების დანიშნულების მიხედვით ხარჯვის შესწავლა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციების მხრიდან.

დასაქმების კუთხით იუსტიციის სამინისტროში შექმნილია დანაშაულის პრევენციის ცენტრი, მისი დირექტორის ჯონი კვინიკაძის განმარტებით, პატიმართა რესოციალიზაციის პროგრამები რამდენიმე ნაწილად იყოფა. თავის მხრივ, დასაქმების პროგრამა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველი ეტაპია ფსიქოლოგიური და ფიზიკური პრობლემების მოგვარება. შემდეგ იწყება სიციალური უნარების ამაღლებისა და გადამზადების ეტაპი, რაშიც გათვალისწინებულია პროფესიული გადამზადების, სხვადასხვა კურსზე ჩართვა. ამას მოჰყვება დასაქმების ხელშეწყობის პროცესი, ამის შემდეგ ხდება დამსაქმებელთან რე კომენდაციის გაწევა, ეს ეტაპი ყველასათვის ინდივიდუალურია და, ამის გამო, 6 თვიდან ერთ წლამდე გრძელდება აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენი ხანი გაატარა სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში. იუსტიციის სამინისტროს ამ კუთხით მუშაობაში ჩართული ჰყავს იურისტები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, სოციალური მუშაკები, — ამბობს ცენტრის დირექტორი. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს პოლიტპატიმრებთან ურთიერთობის საკითხს და აღნიშნავს, რომ მათთვის მთელი რიგი შეღავათებია დაწესებული. ბენეფიციარებს ეხმარებიან ჯანმრთელობის, შრომითი მოწყობის, სოციალურ საკითხებში. დახმარებაა გათვალისწინებული საზოგადოებრივი მგზავრობისას.

თუმცა, სპეციალისტები, ყოფილი პატიმრების მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუხედავად სახელმწიფოსგან ხელშეწყობისა, დიდ სირთულეებს აწყდებიან კერძო ბიზნესმენებისგან სამუშაოზე მოწყობისას. კერძო სექტორში გაიგებენ თუ არა, რომ მათთან მუშაობის დაწყების მსურველი ნასამართლევია, უარს ამბობენ მათ მიღებაზე, უფრო მეტიც, ახლად მიღებულ ამ კატეგორიის თანამშრომლებს ყოველი მიზეზის გარეშე ათავისუფლებენ. სამთავრობო სექტორშიც ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. სამართალში ნამყოფს ხომ დასაქმებაზე უარს ეუბნებიან, პოლიტიკური მოტივით ნასამართლევებს და პოლიტპატიმრობის სტატუსით განთავისუფლებულებსაც კი უარით ისტუმრებენ.

სოციოლოგთა და ანალიტიკოსთა განმარტებით, ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედისაგან განსხვავებით სასჯელმოხდილებს ყველა პირობები უნდა შეუქმნას იმისათვის, რომ თავი არ იგრძნონ საზოგადებისგან გარიყულად, უსწრაფესად მოხდეს საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია.

**ზაზა ბილიხოძე**

**◉ „ძველი ბიჭი“**

## მოსამართლეს აგინა, პროკურორი ცემა

**ოზურგეთის რაიონული სასამართლო, ოზურგეთში პატიმრის მიერ მოსამართლისა და პროკურორის ცემის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.**

**როგორც სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 2014 წლის 20 ნოემბერს, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბიძინა სტურუა ბრალდებულების: რიჩარდ ცქვიტინიძის, ნოდარ ცაგარეიშვილისა და გიორგი ზაქარეიშვილის სისხლის სამართლის საქმეს განიხილავდა. მათ ბრალად ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს ქურდობის მცდელობასა და ქურდობას.**

**„მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომაზე ბრალდებულების: რიჩარდ ცქვიტინიძის და გიორგი ზაქარეიშვილის მიმართ გამოცხადდა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი და ნოდარ ცაგარეიშვილის მიმართ შეფარდებული სასჯელის ზომა, მსჯავრდებულმა რიჩარდ ცქვიტინიძემ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა ნოდარ ცაგარეიშვილს, რის გამოც რიჩარდ ცქვიტინიძეს მოსამართლემ მიუთითა შეეწყვიტა საუბარი და დაეცვა წესრიგი სასამართლო სხდომაზე. მიუხედავად გაფრთხილებისა, რიჩარდ ცქვიტინიძემ არ გაითვალისწინა მოსამართლის მითითება, რის გამოც გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან. საბადრაგო სამსახურის მიერ მსჯავრდებულის გაყვანამდე მან არაერთხელ შეაგინა მოსამართლესა და პროკურორს, შემდგომ დაუსხლტა ხელიდან ბადრაგს და პროკურორს დაარტყა ხელი.**

**ინტერპრესი**

◉ პუტინს ეშინია ნატოსთან ომისა!



## სტივენ ბლანკი:

# თუ მოსკოვს ახლა არ შევაჩერებთ, მსოფლიოს გაცილებით მეტი კრიზისი ემუქრება

**ამერიკელი პოლიტოლოგი მოგვიწოდებს, დაუყოვნებლივ გავუწიოთ სამხედრო დახმარება უკრაინას**

**ფატიმა ტლისოვა: დოქტორო ბლანკ, გმადლობთ, რომ დაგვთანხმდით საუბარზე. წელიწადი გავიდა ამ სტუდიაში ჩვენი უკანასკნელი ინტერვიუდან. ამ პერიოდის განმავლობაში მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა. მინდოდა, დამეწყო შეკითხვით მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაციის თქვენი შეფასების შესახებ. სად ვიმყოფებით ყველა ჩვენგანი ამ ეტაპზე?**

**სტივენ ბლანკი:** ვფიქრობ, რომ ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა. რუსეთის ფედერაცია შეიჭრა უკრაინაში და არ გადაუხდია შესაბამისი დიდი საფასური თავისი მოქმედებებისთვის. იგი აგრძელებს რუსეთის სამხედროებისა და იარაღის გაგზავნას უკრაინაში, და კვლავ აფართოებს ტერიტორიებს, რომლებიც სურს აიყვანოს თავის კონტროლქვეშ. რუსეთი დემონსტრაციულად ცდილობს, წაართვას უკრაინას ტერიტორიის ნაწილი, რათა შექმნას მითიური „ნოვოროსია“, რის შესახებაც პუტინი თავად ლაპარაკობს. ამან შეიძლება, შექმნას პირდაპირი მშრალი ხიდი დნესტრისპირეთისკენ. ამ დროს სანქციები და ფასის დავარდნა ნავთობზე ანგრევს რუსეთის ეკონომიკას, რომელიც გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ამის წარმოდგენას ცდილობს მთავრობა.

სიტუაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გეოპოლიტიკურად უკეთესი არ არის ახალი საფრთხეების გაჩენის გამო. ევროკავშირი ჯერჯერობით ვერ გარკვეულა, როგორ ჩამოაყალიბოს ერთიანი ფრონტი თავდაცვის პოლიტიკაში. არჩევნებმა საბერძნეთში აშკარად აჩვენა, რომ ახლა გაცილებით უფრო რთული იქნება, შევიმუშაოთ ნებისმიერი თანმიმდევრული პოლიტიკა. პუტინი კი დარწმუნებულია, რომ შეუძლია გააგრძელოს იმავე სულისკვეთებით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ იგი ანგრევს რუსეთის ეკონომიკას თავისი ომით.

**— ჩვენ თვალყურს ვადევნებთ სანქციებისა და სხვა ზომების მთელ სერიას, რომლებიც მიზნად ისახავენ, აიძულონ პუტინი უარი თქვას სიტუაციის ესკალაციაზე აღმოსავლეთ უკრაინაში. თუმცა, ეს არ მოხდა. ნიშნავს ეს, რომ დასავლეთმა უნდა გადადგას ახალი ნაბიჯები, შეიძლება, გამოიყენოს ზომების ახალი კრებული და, თუ ეს ასეა, რა ნაბიჯებზე შეიძლება იყოს საუბარი?**

— ჯერჯერობით უცნობია, როგორი იქნება შემდგომი რაუნდი, მაგრამ ცხადია, რომ იქნება ახალი სანქციები. მეორეც, რუსეთის მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ, თუ სანქციები შეეხება „სვიფტს“ და რუსეთი გამორთული იქნება საერთაშორისო გადახდების ამ სისტემიდან, ეს შეფასებული იქნება, როგორც ღია ომის დაწყება. სამწუხაროდ, ომი უკვე მიდის... მე ასევე ვფიქრობ, რომ რუსეთი დასავლეთს არ უტოვებს ალტერნატივას, გარდა იმისა, თუ როგორ გამოიყენოს ეს ზომები. მესამეც, მხოლოდ სანქციები ვერ აიძულებენ რუსეთს გავიდეს უკრაინიდან. ბევრი ანალიტიკოსი აქაც და ევროპაშიც, აცხადებს და, ვფიქრობ, ისინი მართლები არიან: ერთადერთი გზა აიძულო რუსეთის მთავრობა გამოიყვანოს თავისი არმია უკრაინიდან — ეს არის შეიარაღების მიწოდება უკრაინაში და უკრაინის ჯარების სწავლება თანამედროვე ომის მეთოდებით...

**— რუსეთის სამ მოქალაქეს ამ ცოტა ხნის წინათ წაუყენეს ბრალდება ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ჯაშუშობაში, როგორ ფიქრობთ, ხომ არ უნდა დაფიქრდეს ვაშინგტონი მოსკოვთან ურთიერთობის გადასინჯვაზე?**

— მე ვისაუბრე იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა გადაესინჯა თავისი ურთიერთობა მოსკოვთან უკვე მრავალი წლის წინათ. გაცილებით ადრე უკრაინაში კრიზისზე და უკანასკნელ საჯაშუშო სკანდალზე ადრეც. ეს საჯაშუშო სკანდალი არც ისეთი მნიშვნელოვანია ამბავთა საერთო სქემაში. ეს მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი გვიჩვენებს რუსეთის დაზვერვის ხასიათსა და ამოცანებს. მაგრამ მთლიანად ჯაშუშობა— ყოველდღიური საქმეა. ყველა ყველას ჯაშუშია, თუმცა, რუსეთის მთავრობა ცდილობს, წარმოაჩინოს უკანასკნელი გამოაშკარავება, როგორც რაღაც პოლიტიკური შეთქმულება ვაშინგტონის ბრძანებით, რომ რუსეთი არჩეულია, როგორც ერთადერთი მიზანი. ეს არასწორია.

ფაქტი არის ის, რომ 2008 წლიდან, თუ უფრო ადრეც არა, რუსეთი ახორციელებდა აგრესიებს თავისი მეზობლების წინააღმდეგ. მან განახორციელა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ეს თავად პუტინმა თქვა — ისინი აპირებდნენ ომს 2006 წლიდან, სეპარატისტების გამოყენებით. ოპერაცია ყირიმში იგეგმებოდა, სულ ცოტა, 2008 წლიდან, ვფიქრობ, ალბათ, კიდევ უფრო ადრეც. გადატვირთვის პოლიტიკას ყოველთვის არასწორად მივიჩნევდი, და ჩემი აზრით, მან არანაირი სარგებელი არ მოუტანა ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ, სამაგიეროდ, საშუალება მისცა რუსეთს, რომ მას შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, რაც სურს, პოსტსაბჭოთა სივრცეში.

უკრაინამ მხოლოდ გააღრმავა ყველა ეს პრობლემა. იდეა იმის შესახებ, რომ პუტინის დროს ჩვენ შეგვიძლია, რუსეთთან გვქონდეს ბიზნესი, როგორც ჩვეულებრივად, იგი უკრაინიდანაც რომ წავიდეს კიდეც, — ეს არის ილუზია. ეს მთავრობა, რომელიც ანგრევს ევროპაში უშიშროების მთელ სტრუქტურას ხელისუფლებაში პუტინის შესანარჩუნებლად, მის მთავრობას ვერაფრით წარმოუდგენია რუსეთი, თუ არა იმპერია, რომელიც მზად არის გამოიყენოს სამხედრო ძალა არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ სხვა ადგილებშიც.

**— რამდენად ეფექტიანია, თქვენი აზრით, ამერიკა-ევროპის თანამშრომლობა სანქციებთან დაკავშირებით და როგორია ყველაზე მოწყვლადი ადგილები ამ თანამშრომლობაში?**

— სანქციები,რომლებიც ამჟამად მოქმედებენ, ჩამოყალიბდა ისე, რომ განემტკიცებინათ კავშირი. მაგრამ საბერძნეთში არჩევნებამდეც კი ევროპის შვიდმა სახელმწიფომ განაცხადა, რომ სურთ, შეამცირონ სანქციები, მიუხედავად სიტუაციის გაუარესებისა... რუსეთი — ეს არის აგრესიული რევანშისტული სახელმწიფო, რომლისთვისაც არ არსებობს არც ერთი წმინდა შეთანხმება, და რომელიც მზადაა, ეომოს მეზობლებს, რათა მიიღოს ის, რაც სურს. პრობლემა ის არის, რომ ევროპაში ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებსაც ურჩევნიათ საქმე ჰქონდეთ წარმოსახვით და არა რეალურ რუსეთთან.

**— როგორ აფასებთ ახალ მთავრობას კიევში? რას არ აკეთებენ ისინი იქიდან, რაც უნდა გაეკეთებინათ?**

— ისინი საკმაოდ კარგად არ მუშაობენ. მათ ჯერ კიდევ ვერ დაიწყეს რეფორმები. ძალიან ბევრი დრო დაკარგეს მთავრობის ჩამოყალიბებაზე, მათი სამხედრო სარდლობა სუსტია და, რასაკვირველია, ეკონომიკა საშინელ მდგომარეობაშია. მიუხედავად ამისა, იგი ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს, ვინაიდან ისინი ღია აგრესიის მსხვერპლი არიან.

**— თქვენი პროგნოზი უკრაინისთვის — შეუძლია, მას გაუძლოს რუსეთის აგრესიას და შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა და დამოუკიდებლობა?**

— ვფიქრობ, რომ ომი უკრაინაში გაგრძელდება. უფრო მეტიც, მალე რუსეთში გაიგებენ, რომ უკრაინელები კარგები არიან არა მხოლოდ პარტიზანულ ომში. მათ ასეთი ომი მოსწონთ. მოსკოვი კი ვერ გაუძლებს პარტიზანულ ომს. აშკარად, ცხადია, რომ პუტინი ღებულობს ექსტრაორდინარული ზომებს, რათა დამალოს სიმართლე იმის შესახებ, რომ, შეიძლება, 6 ათასზე მეტი რუსი სამხედრო უკვე დაიღუპა. რაც დიდხანს გაგრძელდება ეს, მით უფრო უკრაინის ომი რუსეთისთვის გადაიქცევა აუტანელ ტვირთად. სრულიად ცხადია, რომ პუტინი ვერ დაძლევს დიდ კლასიკურ სამხედრო ოპერაციას უკრაინაში, და რომ მას ეშინია ნატოსთან ომისა, ვინაიდან იცის, თუ რა მოჰყვება ამას. მეორე მხრივ, იგი, შეიძლება, ცდილობს, თავს მოგვახვიოს სიტუაცია, რომლის დროსაც იგი, ბოლოს და ბოლოს, არ დატოვებს ნატოს და რუსეთს არ ექნება სხვა ალტერნატივა, თუ ნატო ამჟამად არ გამოვა და თავის ხელში არ აიღებს სტრატეგიულ ინიციატივას.

**ფატიმა ტლისოვა,**

**ჟურნალისტიკაში მუშაობს 1995 წლიდან. „ამერიკის ხმაში“ მოსვლამდე 2010 წელს მუშაობდა სააგენტო „ასოშიეიტედ პრესის“ საკუთარ კორესპონდენტად ჩრდილოეთ კავკასიაში, „ობშჩაია გაზეტაში“ და „ნოვაია გაზეტაში“.**

## დედამიწის ზურგზე



### დიპლომატიურ ძალისხმევათა სასარგებლოდ ვაშინგტონი უარს აცხადებს უკრაინისთვის ლეტალური შეიარაღების მიწოდებაზე

თეთრ სახლსა და პენტაგონში აჩქარდნენ უარეყოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოხვედრილი ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვის შესახებ — დაიწყოს იარაღის მიწოდება უკრაინის მთავრობისთვის. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ასეთ ნაბიჯს შეეძლო სერიოზულად გაემწვავებინა სიტუაცია უკრაინაში და რუსეთელებისთვის მიეცათ საშუალება ნატოსთან ომის გახსნის შესახებ. ასეთივე აზრს იცავენ გერმანიაშიც.

### ჩრდილოეთი კორეა ამერიკას ემუქრება ბირთვული დარტყმითა და კიბერომით

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, რომ ვაშინგტონთან კონფრონტაციის შემთხვევაში კორეის სახალხო-დემოკრატიული არმია „გამოიყენებს თავისებურ სტრატეგიასა და ტაქტიკას, აგრეთვე ისტორიაში საბრძოლო მოქმედებათა წარმოების უპრეცედენტო მეთოდებს“. საბრძოლო ნოუ-ჰაუს დაწვრილებითი ცნობები განცხადებაში გახსნილი არ არის.



### ნიუ-იორკში მატარებელმა გადასასვლელზე ავტომობილი გაიტანა: დაიღუპა 7 კაცი

კატასტროფა რკინიგზის გადასასვლელზე ქალაქის ჩრდილოეთით მოხდა: მატარებელი, რომელიც სადგურ გრანდცენტრალიდან გავიდა, შეეჯახა ორი ავტომობილიდან ერთ-ერთს. შედეგად 7 კაცი დაიღუპა. მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა, დაზარალებულთა რიცხვი ზუსტდება.

### ავიაკომპანია „ტრანსაზიის“ თვითმფრინავი ტაივანის დედაქალაქის მახლობლად მდინარეში ჩავარდა - დაიღუპა 19 კაცი

აფრენის შემდეგ ორმოტორიანი ტურბოქანჩიანი თვითმფრინავი არტ-72 დაეჯახა ხიდს, შემდეგ კი მდინარე ცზილუნში ჩავარდა. მის ბორტზე 58 კაცი იყო.



# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRPIII)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPIII/CS/QCBS-02**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **24 თვე**
შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**
შეფასების ვალუტა: **ლარი**

**შეფასებული კომპანია(ები):**

დასახელება: ე.ს. DONGSUNG Engineering Co. & SAMAN Corporation & Soosung Engineering Co. Ltd. ქვეკონსულტანტი შ.პ.ს. "გზამშენპროექტი"
ტექნიკური ქულა: 75.68
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2,012,300 ლარი და 1,506,900 აშშ დოლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 2,012,300 ლარი და 1,506,900 აშშ დოლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 73.68
საბოლოო ადგილი: II

დასახელება: Roughton International Ltd.
ტექნიკური ქულა: 75.35
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2, 985, 200 აშშ დოლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 2, 985, 200 აშშ დოლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 72.75
საბოლოო ადგილი: III

დასახელება: შ.პ.ს. „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია"
ტექნიკური ქულა: 78.14
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,942,700 ლარი და 643,800 ევრო;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,942,700 ლარი და 643,800 ევრო;
ერთიანი შეფასების ქულა: 82.51
საბოლოო ადგილი: I

დასახელება: ე.ს. Eptisa Servicios De Ingenieria S.L. და შ.პ.ს. "ქარვის გზა"
ტექნიკური ქულა: 73.31
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: არ არის;
ერთიანი შეფასების ქულა: არ არის;
საბოლოო ადგილი: არ არის;

**გამარჯვებული კომპანია(ები):**
დასახელება: შ.პ.ს. „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია"
ტექნიკური ქულა: 78.14
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,942,700 ლარი და 643,800 ევრო;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,942,700 ლარი და 643,800 ევრო;
ერთიანი შეფასები ქულა: 82.51
საბოლოო ადგილი: I
საკონტრაქტო ღირებულება: 2,292,386.00 ლარი და 844,093.33 ევრო

**დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):**
დასახელება: არ არის;
ტექნიკური ქულა: არ არის;
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის;
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ არის;

# Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRP III/CS/QCBS-02**
Scope of Contract: **Supervision of Works for Rehabilitation of Road Sections under Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
Duration of Contract: **24 months**
Method of Selection: **Quality and Cost-Based Selection (QCBS)**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

**Evaluated Consultant(s)/Firm:**
Name: JV DONGSUNG Engineering Co. & SAMAN Corporation & Soosung Engineering Co. Ltd. with sub-consultant Gzamshenproject Ltd.
Technical Score: 75.68
Financial Proposal Price at the opening: 2,012,300 GEL and 1,506,900 USD;
Evaluated Price: 2,012,300 GEL and 1,506,900 USD;
Final Combined Evaluation Score: 73.68
Final Ranking: II

Name: Roughton International Ltd.
Technical Score: 75.35
Financial Proposal Price at the opening: 2,985,200 USD;
Evaluated Price: 2,985,200 USD;
Final Combined Evaluation Score: 72.75
Final Ranking: III

Name: Roads Rehabilitation and Modernization Supervision Direction Ltd

Technical Score: 78.14
Financial Proposal Price at the opening: 1,942,700 GEL and 643,800 EURO;
Evaluated Price: 1,942,700 GEL and 643,800 EURO;
Final Combined Evaluation Score: 82.51
Final Ranking: I

Name: JV Eptisa Servicios De Ingenieria S.L. & Karvis Gza Ltd.
Technical Score: 73.31
Financial Proposal Price at the opening: N/A
Evaluated Price: N/A
Final Combined Evaluation Score: N/A
Final Ranking: N/A

**Awarded Consultant(s)/Firm:**
Name: Roads Rehabilitation and Modernization Supervision Direction Ltd

Technical Score: 78.14
Financial Proposal Price at the opening: 1,942,700 GEL and 643,800 EURO;
Evaluated Price: 1,942,700 GEL and 643,800 EURO;
Final Combined Evaluation Score: 82.51
Final Ranking: I
Contract Price: 2,292,386.00 GEL and 844,093.33 EURO.

**Rejected Consultant(s)/Firm:**
Name: N/A
Technical Score: N/A
Financial Proposal Price at the opening: N/A
Reason (s) for Rejection: N/A

## დღევანდელობის პანორამა

### თბილისში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ახალი პროგრამა ამოქმედდა

**დედაქალაქის** მერის დავით ნარმანიას ინფორმაციით, თბილისში, მიმდინარე წლიდან ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ახალი პროგრამა ამოქმედდა.

როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, მერია ასრულებს მოქალაქეებისათვის მიცემულ დანაპირებს, რომელიც ახალი ჯანდაცვითი პროგრამების ამოქმედებას ეხება. ნარმანიას თქმით, მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ახალი პროგრამა ამოქმედდა, რომელიც ლეიკემიითა და ონკოჰემატური პაციენტებისათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას ითვალისწინებს.

მერის თქმით, პირველი პაციენტი უკვე დაფინანსდა და 9 თებერვალს იგი სტამბოლში გაემგზავრება, სადაც მას ძვლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია გაუკეთდება. ანალოგიური ოპერაციები, პროგრამის ფარგლებში, ჯამში ყველაზე მწვავე 20 ბენეფიციარს დაუფინანსდება.

ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაცია 100 ათასიდან, 200 ათას ევრომდე დაჯდება.

ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაცია ასი ათასიდან, ორასი ათას ევრომდე დაჯდება.

### საინფორმაციო კამპანია ძუძუს კიბოს დასამარცხებლად

**ძუძუს** კიბოს თერაპიის ხელმისაწვდომობისათვის საინფორმაციო კამპანია იწყება. კამპანიის ორგანიზატორია პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველო", კამპანიის სახელწოდებაა „სამიზნე სიცოცხლისთვის". ამასთან დაკავშირებით კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს სასტუმრო „თბილისი მარიოტში" პრესკონფერენცია და კამპანიის პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებაზე პეტიცია შეიმუშავეს, რათა საქართველოში ძუძუს კიბოთი დაავადებული პაციენტებისთვის დამიზნებით ბიოლოგიურ პრეპარატებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს. პეტიციის ხელმომწერები ითხოვენ, რომ სახელმწიფომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დააფინანსოს ძუძუს კიბოთი დაავადებული პაციენტების დამიზნებითი ბიოლოგიური პრეპატარებით მკურნალობა.

ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველოს" პრეზიდენტის ანა მაზანიშვილის განცხადებით, ერთ-ერთი მთავარი მესი-




ჯია, რომ მკურნალობის ხელმისაწვდომობა გაიზარდოს. მისივე თქმით, კამპანიის მიზანი საზოგადოების ინფორმირებაა ძუძუს კიბოს დამიზნებითი თერაპიის ეფექტურობისა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდის მხარდაჭერის შესახებ.

### თურქეთის მოქალაქეები ყალბ დოლარებს ასაღებდნენ

**ფინანსთა** სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ყალბი აშშ დოლარის კუპიურების გასაღების ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის სამი მოქალაქე დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა შაბან ქოჩერიმ, ჰასან ეროლიმ და ბარიშ ილმაზიმ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში გასაღების მიზნით შემოიტანეს 57 000 ყალბი აშშ დოლარი.

საგამოძიებო სამსახურმა აღნიშნული პირები 20 000 ყალბი აშშ დოლარის გასაღების ფაქტზე დააკავა, ხოლო პირადი ჩხრეკისას დამატებით ამოღებული იქნა 37 000 ყალბი აშშ დოლარი. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

### აღმოაჩინეს არარეგისტრირებული საამქროები

**გარემოსდაცვითი** ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთ ცენტრალური სამსახურის თანამშრომლებმა ე.წ. „ცხელ წერტილებში" ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების დათვალიერების შედეგად, ხაშურის და გორის მუნიციპალიტეტებში სამი არარეგისტრირებული საამქრო გამოავლინეს. უწყების ინფორმაციით, კანონდარღვევით მოქმედი სამივე საამქრო დაილუქა. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა.

### წყალტუბოში უკანონო „კალაშნიკოვი" ამოიღეს

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ბრალდებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გივი ფ. წყალტუბოში აიყვანეს.

სამართალდამცველებმა გივი ფ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 60 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

ფეხბურთი

# 21-წლამდელთა კენჭისყრა — საქართველო მე-4 კალათაშია




**დღეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, სადაც უეფას შტაბბინაა, 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართება.**

საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილე ნაკრებები 9 ჯგუფში გადანაწილდებიან. შვიდ ჯგუფში 5-5 გუნდი იქნება, ხოლო დანარჩენ ორში — 6-6.

ჯგუფების გამარჯვებულები 2017 წლის ივნისში პოლონეთში გასამართ ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვდებიან. საუკეთესო შედეგის 4 მეორეადგილოსანი (გათვალისწინებულია ჯგუფის პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გასულ ნაკრებებთან შედეგები) დანარჩენი ორი საგზურის ბედს პლეი ოფში გაარკვევს. მასპინძელი პოლონეთი დასკვნით ეტაპზე ავტომატურად ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე 8-ის ნაცვლად პირველად იასპარეზებს 12 ნაკრები.

კენჭისყრამდე უეფამ 21-წლამდელთა ნაკრებები შესაბამისი კოეფიციენტიდან გამომდინარე კალათებში გადაანაწილა. საქართველოს ახალგაზრდული გუნდი, რომელსაც ალექსანდრე ჩივაძე წვრთნის, D (მე-4) კალათაში მოხვდა.

A **კალათა:** ესპანეთი, ინგლისი, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ჩეხეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, დანია.

B **კალათა:** რუსეთი, შვეიცარია, შვედეთი, სერბეთი, ისრაელი, უკრაინა, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბელგია.

C **კალათა:** თურქეთი, სლოვენია, ავსტრია, შოტლანდია, საბერძნეთი, ხორვატეთი, ნორვეგია, სომხეთი, ჩერნოგორია.

D **კალათა:** საქართველო, ფინეთი, უელსი, უნგრეთი, ისლანდია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მოლდოვა, ირლანდია, ბელარუსი.

E **კალათა:** ბულგარეთი, კვიპროსი, მაკედონია, ლიტვა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ალბანეთი, ლატვია, ესტონეთი.

F **კალათა:** ფარერები, ჩრდილოეთ ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, სან-მარინო, ანდორა, ლიხტენშტეინი.

**ჯგუფურ ეტაპზე სათამაშო დღეებია:**

**2015 წელი:**

23-31 მარტი, 8-16 ივნისი, 31 აგვისტო -8 სექტემბერი, 5-13 ოქტომბერი, 9-17 ნოემბერი.

**2016 წელი:**

21-29 მარტი, 29აგვისტო — 6 სექტემბერი, 3-11 ოქტომბერი.

**პლეი ოფი:**

2016 წლის 7-15 ნოემბერი.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# „ბორჯღალოსნებს“ ბასილაია და ასიეშვილი შეემატათ




**„ბორჯღალოსნები“ გერმანიის წინააღმდეგ გასამართი მატჩისთვის მზადებას ტულუზაში „ერნესტ ვალონზე“ გადიან.**

**საქართველოს ნაკრები საწვრთნელ შეკრებას სამშაბათს შეუდგა. ჩვენმა გუნდმა საფრანგეთში ორი დღე დაჰყო, დღეს საღამოს კი ჰოიზენშტამში გაემგზავრება.**

რაგბიში ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის (ყოფილი ევროპის ერთა თასი) მატჩი გერმანიისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის 7 თებერვალს გაიმართება და თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება, მისი ნახვა კი ინტერნეტით იქნება შესაძლებელი.

კვირის დასაწყისში მამუკა გორგოძის ტრავმის ამბავი გავრცელდა. სამედიცინო შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ მას მარცხენა ფეხზე უკანა კუნთი გაუწყდა, რასაც სამკვირიანი რეაბილიტაცია სჭირდება. როგორც თავად მამუკამ განაცხადა, ტრავმა ნაკლებად სერიოზული ხასიათისაა და იგი მალე ჩადგება მწყობრში. ამავდროულად გაფართოებულ შემადგენლობაში სამწვრთნელო შტაბმა დიმიტრი ბასილაია და კარლენ ასიეშვილი გამოიძახა.

**კობა კობახიძე**

ხელბურთი

# ქართველებმა უცხოეთში სეზონი განაახლეს

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების რამდენიმე წევრი უცხოურ კლუბებში თამაშობს წარმატებით.** ზოგმა მათგანმა 2015 წლის მატჩებში უკვე იასპარეზა, რადგან ევროპაში სახელბურთო სეზონი განაახლეს. **შოთა თევზაძისა და ვლადიმერ რუსიას** „ოდორჰეიმ“, რომელიც რუმინეთის ჩემპიონატს ლიდერობს, 2015 წელი წარმატებით დაიწყო: „ტარგუ ჟიუსთან“ სტუმრად 30:28 მოგებულ მატჩში ვლადიმერ რუსია 10 გოლით გამოირჩა, ხოლო შინ „სტიაუას“ 2 გოლი გაუტანა, მისმა გუნდმა კი 31:22 გაიმარჯვა. 15 თამაშში რუსიას ანგარიშზეა 50 გოლი. ორჯერ დამარცხდა ირაკლი ჩიქოვანის „ტიმიშოარა“ — შინ „ბაია მარესთან“ 30:32 და სტუმრად „პოტაისა ტურდასთან“ — 25:26. ჩიქოვანის, შესაბამისად, 7-მა და 4-მა გოლმა მის გუნდს ვერ უშველა. „ტიმიშოარა“ პლეიოფში გამსვლელ ზონას დაშორდა — 16 ქულა აქვს, მე-11 ადგილზეა და მერვე ადგილზე მყოფ „სტიაუას“ 3 ქულით ჩამორჩება.



მართალია, ხელბურთელთა ასპარეზობა არ განახლებულა მაკედონიაში, მაგრამ შევიტყვეთ, რომ **რევაზ ჭანტურია** „ზომიმაკსტრუმიცას“ 2014 წლის საუკეთესო ხელბურთელად დაუსახელებიათ. „სტრუმიცა“ ეროვნულ ჩემპიონატში ერთპიროვნული ლიდერია — 14 თამაშიდან 14 მოგება აქვს. ქართველი გარემარბი კლუბში ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელადაც მუშაობს.

თურქეთის უმაღლეს ლიგაში ტრაბზონის მეორე გუნდმა „ტრაბზონსფორმა“ ბოლო სამ თამაშში 5 ქულა აიღო. **რატი მსხვილიძე** ტრავმის გამო კლუბს სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება, ხოლო მეკარე **გიგა ტორონჯაძემ** თავისი წვლილი შეიტანა „გენჩლერბირლიგისა“ და „მილი პიანგოსთან“ მოგებებსა (25:23, 29:23) და სტუმრად „მერსინთან“ ფრედ დასრულებულ შეხვედრაში - 24:24. „ტრაბზონი“ გათამაშების ცხრილში სამი საფეხურით დაწინაურდა და 15 ქულით მეექვსე აგილზეა. პლეიოფში 8 გუნდი გადის.

თურქეთის პირველი ლიგის კლუბ „ტრაბზონ აქჩაბათში“ გადავიდნენ სამტრედიის შუამარბი **ლექსო წითელიშვილი,** ბათუმის ინსაიდი **ზურაბ სიმონია** და ტექნიკური უნივერსიტეტისა და ჭაბუკთა ნაკრების მეკარე **ირაკლი ხიდეშელი.** „ტრაბზონმა“ მორიგ მატჩში სტუმრად 41:28 გაიმარჯვა. 41 გოლიდან 25 ქართველების (13 - წითელიშვილი, 12 — სიმონია) ანგარიშზეა.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე:** უტევს ვლადიმერ რუსია.

ინტერნეტიდან

# ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა

**ერთი ხანობა იტალიელი მოდელი კლაუდია რომანი იძახდა, ჩემი ოცნება ფეხბურთის მსაჯობაა და გადაწყვეტილი მაქვს არბიტრობის კურსის გავლის შემდეგ ამ საქმეს სეროზულად მოვკიდო ხელიო. ამ ამბავს იტალიის ფეხბურთის ფედერაციაც მაშინ გაგებითა და მოწონებით შეხვდა.**



ახლა კი აპენინის მკვიდრი მოდელი იძახის, რომ მსაჯობა უბრალოდ მისი გატაცებაა და სამსაჯო საქმის ხელობად არჩევას აღარ აპირებს. ამის შესახებ მოდელმა იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა და დასძინა, რომ მოდელობა ძალიანაც მოსწონს და მოდელის კარიერას არასოდეს მიატოვებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კლაუდია რომანი ფეხბურთით ყოველთვის იყო გატაცებული და დაინტერესებული და იტალიის ნაკრების ერთ-ერთ თილისმადაც ითვლება. კლაუდია „სკუადრა აძურას“ ბოლოდროინდელ არცთუ წარმატებულ ასპარეზობას დროებით ამბად მიიჩნევს და მომავალს იმედის თვალით უყურებს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ავტოსპორტი




# „ტორო როსო“ ხუთეულს უმიზნებს

**იმ დროს, როცა ამ გუნდს „მინარდი“ ერქვა, ხუთეულზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო —იტალიური საჯინიბო ცის ქვეშ ადგილისთვის იბრძოდა და ყოველთვის აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ დრო შეიცვალა, გუნდი „რედ ბულმა“ გამოისყიდა და მას სახელიც შეუცვალა. მერე იყო სებასტიან ფეტელის მოულოდნელი გამარჯვება მონცაზე (2008 წელს) და სტაბილური პროგრესი.**

და ახლა, როცა „ტორო როსო“ ახალბედა, თინეიჯერი პილოტებით —17 წლის ჰოლანდიელი მაქს ფერსტაპენით და 20 წლის ესპანელი კარლოს საინს უმცროსით არის დაკომპლექტებული, მისი ხელმძღვანელობა კონსტრუქტორთა თასზე მეხუთე ადგილს უმიზნებს. იტალიურმა გუნდმა თავისი ახალი ბოლიდი — STR10 ხერესის ტესტების დაწყებამდე ერთი დღით ადრე გაგვაცნო.

საინტერესოა, რომ „ტორო როსოს“ საუკეთესო სეზონი სწორედ 2008 წელს ჰქონდა, როცა კონსტრუქტორთა პირველობა მე-6 ადგილზე დაასრულა. გასულ სეზონში იტალიელმა ხარებმა მე-7 ადგილი დაიკავეს. ასეთი მაღალი მიზნის მიღწევის იმედს, გუნდის შეფ ფრანც ტოსტს, მისივე სიტყვებით, „ყველა დროის საუკეთესო მანქანა“ აძლევს.

ტექნიკური დირექტორი ჯეიმს კეი ამბობს, რომ გუნდს STR10-ის განვითარების და სრულყოფის აგრესიული გეგმა აქვს და ამ გეგმის შესრულება ტესტებიდანვე დაიწყება. კეი ამბობს, რომ ის მანქანა, რომელსაც ტესტების დროს ვხედავთ, პირველი რბოლისთვის სრულიად შეიცვლება. კეის „რენოს“ ძრავის იმედიც აქვს. უფრო სწორად, იმის იმედი, რომ ფრანგული კომპანიის ძრავი სამქიმიანებთან ჩამორჩენას შეამცირებს...

**ვიტალი ჯაფარიძე**

## პური სოციალური პროდუქტია...



# ლარი გაზს აძვირებს, გაზი - პურს და შაქარს?!

**ლარის კურსმა პირველი დარტყმა მეწარმეებს მიაყენა. ვალუტის მკვეთრი გაუფასურების გამო საწარმოებს ბუნებრივი აირი გაუძვირდათ. შესაბამისად, ისინი წარმოებულ პროდუქციას გააძვირებენ. საბოლოოდ კი დაზარალებული როგორც ყოველთვის, მოსახლეობა დარჩება, რომელსაც მთავრობა ყოველდღე უმეორებდა, რომ კურსის მერყეობას ფასების ზრდა არ მოჰყვებოდა.**

პირველი მარტიდან თბილისში იურიდიული პირებისთვის 1000 კბ/მ გაზი 750 ლარიდან 900 ლარამდე ძვირდება. ბუნებრივი აირის ფასი გაიზარდა რეგიონებშიც.

— გამომდინარე იქიდან, რომ ბუნებრივ აირს მომწოდებლისგან დოლარის კურსის შესაბამისად ვყიდულობთ და ვყიდით ლარში, იძულებულნი გავხდით, კურსის ცვლილების გამო, გაგვეზარდა ტარიფი 15 თეთრით, ოღონდ მხოლოდ იურიდიული პირებისთვის. მას შემდეგ, „ყაზტრანსგაზ-თბილისი" ცდილობდა, საკუთარი რესურსებით დაებალანსებინა ტარიფი, რაც ამ ეტაპზე ველარ ხერხდება, — აცხადებენ „ყაზტრანსგაზში".

**პურპროდუქტების ასოციაციის პრეზიდენტი მალხაზ დოლიძე არ გამორიცხავს, რომ იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფის გაძვირებამ პურის ფასის მატება გამოიწვიოს.**

**— ვერ გავიგე, რის ხარჯზე აკეთებენ ამას? რა გათვლებს ეყრდნობა? როდესაც დოლარი იაფი ღირდა, რატომ არ გააიაფეს გაზი? ხარისხი გაუმჯობესდა თუ რა მოხდა? არ ვიცი, რა დავარქვა ამ ყველაფერს. ისედაც უხარისხო გაზში ვიხდით ფულს!**

მოსახლეობისთვის არ ძვირდება ბუნებრივი აირი, მაგრამ პური იურიდიული პირია? ის ხომ სოციალური პროდუქტია და ყველას სჭირდება? გარდა ამისა, ხომ გვეუბნებოდნენ ლარის კურსი ფასებზე არ აისახებაო. ძალიან განვიცდი ამ ყველაფერს. ვიმეორებ, ბუნებრივი აირის გაძვირება ძალიან დიდ დარტყმას მოგვაყენებს, — ამბობს მალხაზ დოლიძე.

პურის გაძვირებას გამორიცხავს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია. იგი ამტკიცებს, რომ გაზის გაძვირების შემთხვევაში პური არ გაძვირდება. მინისტრი იმ ექსპერტების აზრს არ იზიარებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბუნებრივი აირი გაძვირდება და საცხობები პურის ფასს გაზრდიან. მიუხედავად იმისა რაც რეგიონში ხდება, პურის ფასი შევინარჩუნეთ, — აცხადებს დანელია.

გაზის გაძვირებამ, შესაძლოა, შაქარიც გააძვიროს. კომპანია „ქუალითი შუგარის" ხელმძღვანელი ალხან ალიზადე აცხადებს, რომ ბუნებრივი აირის ახალი ტარიფი პროდუქციის საბოლოო თვითღირებულებასაც გაზრდის.

— ამ შემთხვევაში ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება, მოგება დაბალი იქნება ან საერთოდ არ იქნება და რა აზრი აქვს ასეთ მუშაობას? ისეთი ფასი უნდა დავადოთ, რომ კონკურენცია მაინც იყოს. არ მაქვს იმედი, რომ ამ ვინმე დამეხმარება — ხელისუფლება ან მომწოდებლები", — აცხადებს ალი ზადე „კომერსანტთან" საუბრისას.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი ადასტურებს, რომ გაზი გაძვირდა რეგიონებშიც.

— ბუნებრივია, ეს გაძვირება თავიდან ცოტა შეყოვნებული იყო იმიტომ, რომ შიდა რესურსით რაღაცნაირად მოახერხეს კომპანიებმა და 3-4 თვე გადაიტანეს. უკვე ფინანსური პრობლემა შეიქმნა და რეალურად ვალების დაგროვების მიზეზით შეიძლება მიწოდების პრობლემა გაჩენილიყო. ეს არის დერეგულირებული სექტორი და შესაბამისად, ფასში უნდა აისახოს ყველა მათთან დაკავშირებული ხარჯი. აქ დგინდება ტარიფი კომერციულ სექტორზე, — განაცხადა ვალიშვილმა და დასძინა, რომ ტარიფის გაზრდა მოსახლეობას არ შეეხება.

„მოსახლეობის მოხმარება არის შედარებით ნაკლები, ვიდრე ბიზნესისა და ამიტომ, მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩვენ განვაგრძობთ ამ სეგმენტის სუბსიდირებას. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ მოსახლეობა დავიცვათ ტარიფის გაზრდისგან", — ამბობს ვალიშვილი.

**დავით ბექაური**

---

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ღრმა მწუხარებას გამოხატავს ქალბატონ

**ციალა ღუღუნიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის ოჯახს.

---

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილს დედის, ქალბატონ

**ციალა ღუღუნიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ელიზბარ ერისთავი, რევაზ არველაძე, პაატა ცინცაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ არჩილ ფრანგიშვილის დედის, ქალბატონ

**ციალა ღუღუნიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



ვიქტორია სირაძე, გია რიგვავა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, სრულიად არაორდინარული პიროვნების, შესანიშნავი და სათნო ადამიანის, თვალსაჩინო მეცნიერის და უმშვენიერესი მანდილოსნის

**მაყვალა სტურუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის შვილს გიორგის, დას მარიკა ილურიძეს, მაზლს მელორ სტურუას და მის მეუღლეს ედას, შვილიშვილებს დევის, ანას, რძლებს ირინას, ნატას, ელენეს, დისწულებს ანა, ილია თევზაძეებს, მაზლისშვილებს ანდრეის, გიორგის, მაზლის შვილიშვილს მელორს, შვილთაშვილს ნანას და ყველა მის ნათესავსა და ახლობელს.

---

პედიატრიის ინსტიტუტი, ბავშვთა და მოზარდთა ალერგიის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი ექიმი, პროფესორი

**მაყვალა სტურუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია უდიდესი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებს ამევე აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ გურამ ფერაძეს შვილის

**კონსტანტინე (კოტე) ფერაძის**

გარდაცვალების გამო. აკადემიის სახელით თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჭითანავა, თამაზ იმედაძე, რომან კუჭუხიძე, თამაზ დანელია.

---

გიორგი გამცემლიძე სამძიმარს უცხადებს გურამ ფერაძისა და კახი ცაბაძის ოჯახებს

**კოტე ფერაძის**

გარდაცვალების გამო.

---

## სკოლა

# მშობლების ნაწილი იმ ბავშვების სკოლაში მიღებას ითხოვს, რომლებსაც 6 წელი პირველ იანვრამდე უსრულდება

**მშობლების ნაწილი სკოლაში იმ ბავშვების მიღებას ითხოვს, რომლებსაც 6 წელი პირველ იანვრამდე უსრულდებათ. სკოლაში სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით საქართველოს განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგიურ ცენტრში შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ცენტრის ფსიქოლოგები, მშობლები, პედაგოგები და ჟურნალისტები დაესწრნენ.**

ფსიქოლოგების განმარტებით, დადგენილია, რომ 5 და 6 წლის ასაკს განსხვავებული განვითარების საფეხური აქვს. ამ ასაკში თითოეულ თვესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ემოციურ-ინტელექტუალური განვითარებისთვის.

მათივე განცხადებით, სკოლაში ბავშვი ხვდება რადიკალურად განსხვავებულ გარემოში, რაც ხუთი წლის ბავშვისთვის უფრო რთული დასაძლევია, ვიდრე 6 წლის ბავშვისთვის.

მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილის, ფსიქოლოგ ლევან ზარდალიშვილის განცხადებით, 6 წელი დასაშვები მინიმალური ქვედა ზღვარია. მისი მოსაზრებით, ბავშვი სკოლაში უნდა მივიდეს 6 წლის და 8 თვის, 7 წლის ასაკში.

„ბავშვი არ არის მომზადებული ფიზიოლოგიურად, მისი ძვალ-კუნთოვანი სისტემა, ხერხემალი არ არის მზად 20-25 წუთი გაუნძრევლად იჯდეს. ბავშვი არ არის მზად ემოციურად, რომ 5 წლის ასაკში მივიდეს სკოლაში. სკოლა სოციალური ინსტიტუტია, ბავშვს ამ ასაკში თამაში სჭირდება და არა კანონებსა და წესებს დამორჩილება", — აღნიშნა ლევან ზარდალიშვილმა.

როგორც დღეს გამართულ შეხვედრაზე მშობლების ნაწილმა აღნიშნა, ისინი ეთანხმებიან აკრძალვას, რომლის თანახმად, 5 წლის ბავშვები სკოლაში არ მიიღებიან. თუმცა, მშობლები მიიჩნევენ, რომ სკოლებში უნდა დაუშვან ბავშვები, რომელთაც 6 წელი პირველ იანვრამდე უსრულდებათ. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ მიღება 31 აგვისტომდე დაბადებულ ბავშვებს შეეხოთ. მშობლები აცხადებენ, რომ სწავლა სხვადასხვა წელს, სხვადასხვა დღეს იწყება, რაც განსხვავებულ მიდგომას ქმნის. არსებულ მოდელს მათ „უსამართლო მიდგომა" უწოდეს.

კიდევ ერთი საკითხი, რომლებიც დღევანდელ შეხვედრაზე მშობლებმა წამოჭრეს ბაღში დარჩენილი ბავშვები და მათთვის შესათავაზებელი პროგრამაა.

გუშინდელ შეხვედრას ასევე ესწრებოდა ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომელიც ისურვებდა, რომ სასკოლო ასაკი 8 წლით განისაზღვროს.

როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების პირველ კლასში მხოლოდ ის ბავშვები დაიშვებიან, რომელთაც 6 წელი სწავლის დაწყებამდე უსრულდებათ. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ გამონაკლისები არ დაიშვება.

## დედაქალაქი

# მივხედოთ მიწისქვეშა გადასასვლელებს

**თბილისში**, მიწისქვეშა გადასასვლელების დანაგვიანებისთვის ჯარიმები დაწესდება. როგორც თბილისის მერიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, მიმდინარეობს მიწისქვეშა გადასვლელების დასუფთავება. მან მოქალაქეებს მიმართა, დაიცვან კანონი და არ დააბინძურონ მიწისქვეშა გადასასვლელები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ჯარიმა დაეკისრებათ. კერძოდ, როგორც დედაქალაქის მერმა განმარტა, ზოგიერთ საზოგადოებრივ ადგილას, ასევე მიწისქვეშა გადასასვლელებში სხვადასხვა სახის პლაკატებისა და საინფორმაციო მასალების განთავსება გამოიწვევს პირველ შემთხვევაში 50-ლარიან ჯარიმას, ხოლო განმეორების შემთხვევაში 500-ლარიან ჯარიმას.

ნარმანიას განმარტებით, ჯარიმა უფრო დიდია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ასეთი განცხადების განთავსების შემთხვევაში, კერძოდ, პირი პირველ შემთხვევაში 1 000-ლარიანი ჯარიმით, ხოლო განმეორების შემთხვევაში, 2 000 ლარით დაჯარიმდება.

დედაქალაქის მერის ინფორმაციით, მან დავალება მისცა არქიტექტურის სამსახურს სპეციალური სტენდები გაკეთდეს, სადაც პირებს მერიასთან შეთანხმების გარეშე განაცხადების განთავსება შეეძლებათ.



# ავტომანქანებს ტროტუარებზე ველარ გააჩერებენ

**დედაქალაქში** ტროტუარებზე 210 ავტომანქანის პარკირების ადგილი გაუქმდება. როგორც დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, მან დავალება მისცა შესაბამის სამსახურს, შეისწავლონ ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირების საკითხი. ნარმანიას თქმით, რამდენიმე ტროტუარზე ამ თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაა, ფეხით მოსიარულეების სივრცე თითქმის აღარ რჩება. ამიტომაც, ნარმანიას განცხადებით, მიიღეს გადაწყვეტილება თბილისში 210 პარკირების ადგილის გაუქმებისა ტროტუარებზე. მერმა დასძინა, რომ აღნიშნული შვებას მისცემს ფეხით მოსიარულეებს გარკვეულ ადგილებში, რადგან ტროტუარებზე გადაადგილება შეუძლებელია. ნარმანიამ აღნიშნა, რომ ავტომანქანების პარკირება ტროტუარებზე აიკრძალება ისეთ ადგილებში, სადაც 3 მეტრზე ნაკლები მანძილია და ასეთ ადგილებში ავტომანქანების პარკირების ნიშნები მოიხსნება.

## ჩვენი კარაბადინი

# ვმკურნალობთ გენებს

## ცუდ მემკვიდრეობითობაზე შეიძლება, გავიმარჯვოთ

**ყველას გვინდა დიდხანს სიცოცხლე. მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ მემკვიდრეობით მივიღეთ არაჯანსაღი გენები, რომლებიც ოჯახური დაავადებების პროვოცირებას იწვევენ? არ დაიჯერებთ, მაგრამ შეიძლება მათი გამოთიშვა. ასე ამტკიცებს ახალი მეცნიერება ეპიგენეტიკა.**

### ასეთი სხვადასხვანაირი ტყუპები

**თურმე, გენი – არ ყოფილა ჩვენი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი მატარებელი.** ამის დადასტურებაა ერთკვერცხოვანი ტყუპების არსებობა. მათ აქვთ გენების სრულიად ერთნაირი ნაკრები, მაგრამ მოხუცებულობაში მათ სრულიად განსხვავებული დაავადებები აქვთ. თანაც, რაც უფრო არაერთგვაროვან ცხოვრებას ეწეოდნენ ტყუპები, მით უფრო შორი-შორს მიმოისროდა მათ ბედი, მით უფრო არსებითია სხვაობა.

### შემოწმებულია თაგვებზე

**ორგანიზმის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებსაც ცხოვრებაში ვიძენთ, შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს შთამომავლებს, ეს დაადასტურეს თანამედროვე ექსპერიმენტატორებმა. ამერიკელებმა – რენდი ჯირტლმა და რობერტ უოლტერლენდმა ლაბორატორიული თაგვები დასვეს განსაკუთრებულ დიეტაზე, რომელშიც უხვად იყო ვიტამინი B12, ფოლიუმის მჟავა, ქოლინი – ეგრეთ წოდებული მეთილის ჯგუფის ნივთიერებანი.**



მაგრამ, აი სასწაული! თაგვებმა, რომელთა წინაპრებიც გენეტიკური დეფექტის გამო გამოირჩეოდნენ ბეწვის არაჩვეულებრივი ყვითელი ფერით, გაუმაძღრობითა და მძიმე ავადმყოფობებისადმი – კიბოსადმი და დიაბეტისადმი – მიდრეკილებით, შობეს ყავისფერი მემკვიდრეობა. თანაც თაგუნები იყვნენ უფრო ჯანმრთელები და წელში გამოყვანილები მშობლებთან შედარებით. მეცნიერები დაფიქრდნენ, რატომ დადუმდნენ მავნე გენები, დნმ-ები თაგვებისთვის ხომ არავის შეუცვლია? და მაშინ მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომელიც დაადასტურა შემდგომმა გამოკვლევებმა: არსებობს მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემის ეგრეთ წოდებული ეპიგენეტიკური („ეპი" თარგმანში ნიშნავს „ზე"-ს) მექანიზმები. ის, რასაც ჩვენ მემკვიდრეობით ვღებულობთ ჩვენი მშობლებისგან – ეს არა უბრალოდ გენებია, არამედ ქრომოსომები. ისინი შედგებიან მხოლოდ სანახევროდ დნმ-სგან, დანარჩენი 50 პროცენტი – ესაა პროტეინები, რომლებიც ატარებენ კიდეც ეპიგენეტიკურ ნიშანმდებლებს.

ბიოდანამატებმა, რომლებიც თაგვებს დაუნიშნეს, გავლენა მოახდინეს დეფექტური გენის მუშაობაზე და არ მისცემს მას შანსი, გამოეჩინა თავისი ვერაგობა. თანაც მეთოდური ჯგუფის ნივთიერებანი შეიძლება მივიღოთ როგორც გარკვეული ბოსტნეულისგან და ხილისგან, ისევე ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისგან. და თუ ეს ნივთიერებანი არ კმარა მენიუში, მემკვიდრეობითი სენი ავლენს თავს, ხოლო თუ საკმარისია, თქვენ ვერც გაიხსენებთ ოჯახურ ბედისწერას. სხვათა შორის, ეპიგენეტიკა არ მოგვიწოდებს მივიღოთ ბიოდანამატები პეშვებით. ამერიკაში მეცნიერები სიფრთხილით მოეკიდნენ აფთიაქებში მაღალკონცენტრირებული პრეპარატების, ეგრეთ წოდებული „მეთილის ჯგუფის დონორების" გამოჩენას. აი, ცვლილებებს კი გენეტიკის მენიუში დადებითად ეკიდებიან.

### ჩემპიონების სამეული

პრინციპულად, პროდუქტები, რომლებშიც არის ინგრედიენტები, ჩვენს გენებს რომ ცვლიან, ბევრია. მაგრამ მათ შორის მეთილური ჯგუფის ნივთიერებათა შემცველობის მიხედვით არის სამი ჩემპიონი.

**1. პირველი ადგილი უკავია მწვანე ჩაის, რომელსაც ბევრი სასარგებლო თვისება აქვს.**

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი თვისებაა ის, რომ მის კატეხინებს, როდესაც ჩვენ დნმ-ს უკავშირდება, ნორმაში მოჰყავს გენების სწორი მუშაობა. ესე იგი ერთი მონაკვეთები რჩება აქტიური, მათ შორის, გენებიც, რომლებიც თრგუნავენ სიმსივნეების წარმოქმნას, სხვები, პირიქით, ითრგუნება – ესაა გენები, რომლებიც ხელს უწყობენ კიბოს განვითარებას. იაპონელებმა – ამ სასმელის მყარმა მიმდევრებმა – დაიანგარიშეს, რომ თუ თითო ფინჯან მწვანე ჩაის დავლევთ დილით და საღამოს, სიმსივნის წარმოქმნის რისკი ორჯერ მცირდება. მწვანე ჩაი განსაკუთრებით სასარგებლოა ქალებისთვის, რომელთა ჯიშშიც იყო მკერდის კიბოს შემთხვევები.

**2. მეორე ადგილზე – ნიორი.**

ამერიკელები უმატებდნენ მის ექსტრაქტს კიბოს უჯრედებიან პეტრის ფინჯანში. ნიორი ამოქმედებდა იმ უჯრედების დაღუპვის პროცესს, რომლებიც იძლევიან მეტასტაზებს და ზემოქმედებას ახდენდა ონკოლოგიურ გენებზე. აქვს ნიორს კიდევ ერთი გასაოცარი თვისება – იგი ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას. თურქი გენეტიკოსები ულებდნენ სისხლის ანალიზს ხანდაზმულ ადამიანებს. მენიუში ნივრის რეგულარულ დამატებამდე და ერთი თვის შემდეგ. ტესტებმა აჩვენა, რომ ნიორი ააქტიურებდა ადამიანის ანტიოქსიდანტური სისტემის მეტად მნიშვნელოვანი ფერმენტების გენებს. ისინი თავისუფალი რადიკალებით დაბლა სწევდნენ დნმ-ს ნგრევას და უნარჩუნებდნენ ორგანიზმს სიახალგაზრდავეს.

**3. მესამე ჩემპიონი – ესაა სოია,** რომელიც ასე პოპულარულია აღმოსავლეთში. ონკოლოგები დარწმუნებული არიან, რომ მეთოდური ჯგუფის ნივთიერებანი სოიისგან არ აძლევენ პროსტატის, ხორხის, მსხვილი ნაწლავის, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების, აგრეთვე ლეიკემიას განვითარების საშუალებას.

სხვათა შორის, იცით თუ არა, რომ ამერიკაში არის განსაკუთრებული სამედიცინო სპეციალობა – თუ ვთარგმნით, „კიბოს თავიდან აცილების სპეციალისტი?" ეს არის ექიმი, რომლის ამოცანაცაა – თვალყური გაადევნოს პაციენტის საგვარეულო წარმომავლობას, გააკეთოს დნმ-ს ანალიზი და თავიდან აგვაცილოს ოჯახური კიბო. პირველი, რასაც ექიმი უნიშნავს ადამიანს, ვისაც დეფექტური გენები აღმოუჩინეს, – ესაა განსაკუთრებული დიეტა.

ჩვევები ჩვენ ზევიდან არ მიგვიღია. სხვათა შორის, ერთი სწორი რაციონი მაინც საკმარისი არ არის. უარის თქმა მავნე ჩვევებზე და ახლების, სასარგებლოების შეძენა, ასევე ეხმარება ჯანსაღი გენების მუშაობას.

ავადმყოფ გენებს აქეზებს ალკოჰოლიზმი, მოწევა, წამლების უკონტროლო მიღება (განსაკუთრებით ანტიბიოტიკების), იმ პროდუქტების მიღება, რომლებსაც პესტიციდების მაღალი შემცველობა აქვთ და ა.შ.

დნმ-ს დეფიციტურ მონაკვეთებს ასწორებს დაბალკალორიული კვება, ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვა, კარგი ეკოლოგია და ოპტიმიზმი.

დღეს ეპიგენეტიკა ითვლება დისციპლინისა და ტექნოლოგიების ათეულში, რომლებიც მეტად უახლოეს პერიოდში გადაატრიალებენ მთელ კაცობრიობას. ვერც მედიცინა, ვერც სოფლის მეურნეობა მას ვერსად გაექცევა. თუ გასული საუკუნე იყო გენეტიკის საუკუნე, ჩვენი ასწლეული – ეპიგენეტიკის დროა.

მეცნიერები ამბობენ, რომ ეპიგენეტიკა ჩვენ ბუნების მონებიდან ჩვენი ბედის შემოქმედებად გვაქცევს...

## საჭიროა, იცოდეთ!

### ოპტიმისტები უფრო ჯანმრთელები არიან

**კავშირი ოპტიმიზმის მაღალ დონესა და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის გამოავლინეს ილინოისის (ამერიკის შეერთებული შტატები) უნივერსიტეტის მეცნიერებმა. მათ გამოიკვლიეს 52-დან 84 წლამდე 5 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემები.** ოპტიმისტები პესიმისტებთან შედარებით ორჯერ უფრო იშვიათად ავადდებიან გულის სენებისგან. „თუ ადამიანი ირგვლივ ნახულობს ყოველივე დადებითს, ის საფრთხის ზონის გარეთაა. და რახან ასეა, ყველა შინაგანი



ჯირკვალი გამოიმუშავებს ნორმალურ ჰორმონებს, და ორგანიზმიც – მაშასადამე, გული და სისხლძარღვები –ასევე დამნდობ რეჟიმში მუშაობს, გვიხსნის ფსიქოლოგი დიმიტრი კაპანაძე.– ესე იგი მტკიცება იმის შესახებ, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, შეიძლება გავიგოთ პირიქითაც: თუ არ იქნება ჯანსაღი აზროვნება, არ იქნება ჯანსაღი სხეულიც. თუ სწორად ვიკვებებით, თანაც ამ დროს მუდამ ნეგატივზე ვფიქრობთ, სულ ერთია ორგანიზმი მოიწამლავს თავს და დაინგრევა დროზე ადრე".

### ჩემი არაა, საყვარელო!

**სახლში ცოლისთვის დახმარება ნეგატიურ გავლენას ახდენს მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებაზე. მეცნიერებმა ანალიზი გაუკეთეს ხუთი ათასი წყვილის ურთიერთობას ამერიკის შეერთებული შტატებიდან.** მათ გამოარკვიეს: მამაკაცები, რომლებიც ქალის მოვალეობებს ასრულებდნენ, ერთნახევარჯერ იშვიათად ერთვებოდნენ სექსში, ვიდრე ისინი, ვინც გათავისუფლებული იყო ოჯახური საქმეებისგან. ქალის ტრადიციულ მოვალეობებად მკვლევარები აღიქვამდნენ, მაგალითად, სახლის დალაგებას და ჭურჭლის რეცხვას. აი, მამაკაცის ტრადიციული მუშაობა, რომლებსაც მეცნიერებმა მიაკუთვნეს გაზონის გაკრეჭა და ბანკში ანგარიშების გადახდა, სქესობრივი ცხოვრების სიხშირეზე არ აისახებოდა. მკვლევართა აზრით, წყვილები, რომლებიც იყოფდნენ ქალის მოვალეობებს, ერთმანეთში ხედავდნენ უფრო ძმებსა და დებს, ვიდრე მოსიყვარულეებს.

სხვათა შორის, ნებისმიერი საოჯახო მოვალეობა, ასე თუ ისე, ზიანს აყენებს ინტიმურ ცხოვრებას. ამერიკელი სპეციალისტების სხვა გამოკვლევის თანახმად, ცოლქმრული წყვილი უფრო იშვიათად ერთვება სექსში. მიზეზი ისაა, რომ ქორწინების გაფორმების შემდეგ მათ ცხოვრებას ავსებს ახალი მოვალეობანი და დრო სექსისთვის უკვე აღარ რჩებათ.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**– როგორ უნდა მივიღოთ გოგირდი? – ეკითხება ქიმიის გამოცდაზე პროფესორი სტუდენტს.**

**– ვიღებთ გოგირდწყალბადს და ვაცხელებთ. წყალბადი აორთქლდება, გოგირდი კი დარჩება.**

**– ძალიან კარგი, გიწერთ ხუთიანს: სამიანი აორთქლდება, ორიანი კი დარჩება.**

* * *

**– შენ ქორწილამდე გქონდა სექსი ცოლთან?**

**– არა. შენ?**

**– მე მქონდა, მაგრამ რა ვიცოდი, თუ მას ცოლად შეირთავდი...**



* * *

**– ალო, ეს რაბინოვიჩის ბინაა?**

**– დიახ.**

**– იცით, ქალბატონო, თქვენს ქმარს მანქანა დაეჯახა.**

**– ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა! თუ იცით, მან კვერცხების ყიდვა მოასწრო?**

* * *

**ექიმთა კონსილიუმი საავადმყოფოში.**

**– როგორია თქვენი ავადმყოფის მდგომარეობა? – ეკითხება მთავარი ექიმი მკურნალ ექიმს.**

**– სადღაც ორი მილიონის ფარგლებში.**

**– შესანიშნავია, ხვალ გავუკეთოთ ოპერაცია.**

* * *

**ვერაფრით ვერ გამიგია, რატომ ეიმედებათ ქვეითად მოსიარულეებს ჩემი მანქანის მუხრუჭები ჩემზე მეტად.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24